

ՄՆՈՐՐԻՆԵՐ ՆՐԻՆՆ 30843790 674400 **ᲓᲐ ᲨᲐᲠᲒᲐᲕᲐᲖᲔ** ലാധാധാ გაღმოაგღეს



ორშაბათი, 7 ოქტომბერი, 2019

№237 (8191)

ფასი: 60 თეთრი

ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲫᲐᲚᲐᲦᲝᲑᲘᲡ ᲛᲪᲦᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲦᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲡ



"ოცნების" დეპუტატი გულის შეტევით კლინიკაში გადაიყვანეს

"ილია ჯიშკარიანმა მორიგება შემოგვთავაზა'



ህይቆጠፉ "ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ

3749769 **ዓን**ያሀሢንዓጋ: "ՊԱᲜᲔᲑՈᲡ" **คบวค ควดวววรม** മാവപ്പാഴു **ന3**ഗ് ദേ **ჩ**აუღგეს"

ՐԱՐԱ ՌՍՉՌԴԿ၁: "ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ **ᲞᲠᲔᲖᲘᲦᲔᲜ**ᲒᲝᲑᲐ "ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲔᲦᲘᲡᲬᲔᲠᲝ ᲨᲔᲪᲦᲝᲛᲐᲐ"





บงองคุดงตก

M333"

ՆՊՎՕᲠՈՆԳՕ՝

പ്രമാഹതമ്മാ

ՖԱՐՐԵՐՍՔՍԲ ՐՄԱՐ PRACECO PROPERTY RJ3MJU3363U **UP 979769U**

ᲛᲐᲛᲘᲓᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲐᲡᲕᲔᲜᲔᲡ

ᲠᲐ**Გ**ᲝᲛ ᲘᲛᲐᲒᲐ ᲔᲝᲖᲐᲠᲦᲔᲑᲨᲘ

ᲗᲕᲘᲗᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲔᲑᲛᲐ

ქალს ფულს სძალავდა




გასაჯაროების მუქარით ის



ᲭᲝᲠᲕᲘᲚᲐᲨᲘ 17 ᲬᲚᲘᲡ ᲚᲣᲙᲐ **Ი**ᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲗᲐᲕᲘ **ᲩᲐᲛᲝᲘ**ᲮᲠᲩᲝ დამ როცა ნახა, პულსი ჯერ კიდევ ჰქონდა, მაგრამ ვერ გადაარჩინეს



მალხაზ ᲛᲐᲩᲐᲚᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ: "ᲗᲔᲛᲘᲠᲚᲐᲜᲡ ᲕᲔᲠᲐᲕᲘᲜ **ᲓᲐᲛᲘᲑᲠᲣᲜᲔᲑᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ &79679733339P 97U6B Ღ**ᲐᲕᲡᲯᲘ"



ᲠᲐᲒᲝᲛ **Ი**ᲖᲠᲦᲔᲑᲐ 343806306 ᲐᲦᲛᲘᲜᲘᲡᲒᲠᲐᲪᲘᲘᲡ የንሢ፠ጋያሀ

ᲐᲕᲡᲒᲠᲘᲐᲨᲘ 25 ᲬᲚᲘᲡ **ᲙᲐ**ᲪᲛᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ **ᲨᲔᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ Მ**ᲘᲡᲘ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲓᲐᲮᲝᲪᲐ



ᲗᲐᲛᲗᲐ ᲗᲝᲓᲐᲫᲔ "ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ" ᲓᲔᲞᲣᲒᲐᲒ ᲘᲚᲘᲐ ᲯᲘᲨᲙᲐᲠᲘᲐᲜᲡ ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲫᲐᲚᲐᲦᲝᲑᲘᲡ ᲛᲪᲦᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲦᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲡ



გუშინ, 6 ოქტომბერს, თამთა თოდაძე, რომელიც "ქართული ოცნების" დეპუტატ ილია ჯიშკარიანს სექსუალური ძალადობის მცდელობაში ადანაშაულებს, პოლიციაში დაიბარეს.

- როგორც წესი, ასეთი ტიპის საქმეებზე ძალიან სწრაფად ხდება რეაგირება პროკურატურისა და პოლიციის მხრიდან, თუმცა ამ შემთხვევაში რადგან არის პოლიტიკური თანამდებობის პირი, რატომღაც პროკურატურა იკავებს თავს. სურვილი აქვთ, რომ ეს საქმე მიჩქმალონ და შესაძლებელია, ფიქრობენ იმასაც, რომ გამოძიება შეწყვიტონ, თუმცა ჩვენ ამას ასე არ დავტოვებთ, რადგან ძალიან მყარი მტკიცებულებები გვაქვს იმისა, რომ ეს ფაქტი ნამდვილად მოხდა,



- განაცხადა დაზარალებულის ადვოკატმა თამთა თოდაძის გამოკითხვის დაწყებამდე.

პოლიციაში შესვლამდე კომენტარი თამთა თოდაძემაც გააკეთა.

– მე ეჭვიც არ მეპარება, ის თანამდებობის პირი და საკრებულოს დეპუტატი კი არა, უბრალო მოქალაქე რომ ყოფილიყო, დანაშაულის ადგილას მაშინვე მივიდოდნენ და იმ დღესვე მოხდებოდა მისი გამოკითხვა, – უთხრა მან ინტერპრესნიუსს.

თოდაძის განმარტებით, არ მოხდა დანაშაულის ადგილზე სწრაფად ჩასვლა, არ მოხდა ილია ჯიშკარიანის დროულად დაკითხვა და მხოლოდ მაშინ დაიბარეს გამოკითხვაზე, როდე-

"ილია ჯიშკარიანმა მორიგება შემოგვთავაზა"

საც უშუალოდ საზოგადოებამ მოითხოვა მის-თვის ბრალის წაყენება.

– რატომღაც ისე მოხდა, რომ ჩვენ ველოდეთ ღამის 2-3 საათამდე. მე ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ყველაფერი მოხდება სრული სამართლის დაცვით და ამ ქვეყანაში სამართლიანობა დაცული იქნება, – განაცხადა თამთა თოდაძემ. გამოკითხვის დასრულების შემდეგ მან ტე-

რიტორია კომენტარი გარეშე, ტირილით დატოვა. გამოკითხვაზე თამთა თოდაძის დედა, ხათუნა ოქროპირიძეც, იმყოფებოდა.

ილია ჯიშკარიანი არ აღიარებს ბრალს და ყვება, თამთა დაწინაურებას ითხოვდაო. როგორ უნდა მოეთხოვა ბავშვს დაწინაურება, როცა დეპუტატი ის იყო და დეპუტატი ხომ ვერ გახდებოდა?! სად უნდა დაწინაურებულიყო, ვერ გავი-გე", — განაცხადა ხათუნა ოქროპირიძემ.

ის ამბობს, რომ მომხდარიდან მეორე საღამოს მასთან ილია ჯიშკარიანის მეგობარი, მამუკა ფეიქრიშვილი მოვიდა, რომელმაც გაჩუმების სანაცვლოდ მორიგება სთხოვა.



"ოცნების" დეპუტატი გულის შეტევით კლინიკაში გადაიყვანეს

– მოვიდა ჩემი მეზობელი, რომელსაც, რაც მანდ ვცხოვრობ, ვიცნობ. არის ილია ჯიშკარიანის მეგობარი. ერთი თაობაა. ალბათ, ერთ უბანში არიან გაზრდილები. თვითონ ილია ჯიშკარიანიც მეზობელია. გზის იქით ის ცხოვრობს და გზის მეორე მხარეს ჩვენ.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

"ᲗᲔᲛᲘᲠᲚᲐᲜᲡ ᲕᲔᲠᲐᲕᲘᲜ ᲓᲐᲛᲘᲑᲠᲣᲜᲔᲑᲡ. ayaya ayaeyayayaya ayuer ayarxu,


მალხაზ მაჩალიკაშვილი ხელმოწერების შეგროვებას აგრძელებს

თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეზე პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნისთვის მალ-ხაზ მაჩალიკაშვილს 100.000 ხელმოწერა სჭირდება.

მაჩალიკაშვილი აცხადებს, რომ აუცილებლად დასჯის ყველას, ვისაც თემირლან მაჩალიკაშვილის სიკვდილში ბრალი მიუძღვის.

– დღევანდელ ხელისუფლებას მარტო თავიანთი შვილებისა და ოჯახების ინტერესი აქვთ. დანარჩენი ქვეყანა ფეხებზე დაიკიდეს და 100%-ით ნავსი აქვთ არეული, ვინ, სად და როგორ იქცევა, თვითონაც აზრზე არ არიან. მე თემირლანს კაციშვილი არ დამიბრუნებს, მაგრამ ყველა იმ ადამიანს დავსჯი, ეს დღეს იქნება თუ ხვალ, ყველას დავსჯი, – განაცხადა მალხაზ მაჩალიკაშვილმა.

შეგახსენებთ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური თემირლან მაჩალიკაშვილსა და პანკისის ხეობაში მცხოვრებ კიდევ რამდენიმე პირს საერთაშორისო ტერორისტად აღიარე-



ბული ახმედ ჩატაევისა და მისი ჯგუფის დახმარებაში ადანაშაულებდა, თუმცა დაჭრილი მაჩალიკაშვილი 2018 წლის 10 იანვარს ისე გარდაიცვალა, მისთვის ბრალი არ წაუყენებიათ.

დანარჩენი პირები დააკავეს. სასამართლომ ისინი დამნაშავეებად ცნო და პატიმრობა მიუსაჯა.

ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ: "ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲡᲯᲐᲕᲠᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲬᲧᲐᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲣᲦᲔᲑᲔᲚᲘᲐ"

– შეწყალების საკითხზე საკანონმდებლო ცვლილებები საჭიროა და ამაზე პარლამენტშა და საზოგადოებამ უნდა იმსჯელონ. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გი-

ორგი გახარიამ ჟურნალისტებს განუცხადა. როგორც გახარიამ აღნიშნა, მისთვის პოლიციელის მკვლელისა და სხვა მძიმე დანა-შაულში მსჯავრდებული პირების შეწყალება მიუღებელია.

– შენყალების სისტემასთან დაკავშირებით, ერთმნიშვნელოვნად ფაქტია, რომ ცვლილებებს საჭიროებს და ამაზე თავად



პრეზიდენტმაც განაცხადა. რა თქმა უნდა, ვთქვი და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ჩემთვის პოლიციელის შკვლელობაში მსჯავრდებულის შეწყალება არის მიუღებელი, ისევე, როგორც ყველა სახის მძიმე დანაშაულში მსჯავრდებულის შეწყალება, როდესაც მას ნახევარიც კი არ აქვს სასჯელის მოხდილი, – განაცხადა

ჟურნალისტის კითხვაზე, თუ ვინ უნდა აგოს პასუხი განხორციელებულ შეწყალებასთან დაკავშირებით, პრემიერმა აღნიშნა, რომ პასუხისმგებელ პირს გამოძიება დაადგენს.

"ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲚᲐᲜᲔᲒᲐᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝᲡ. ᲠᲝᲛ 2 ᲗᲕᲔᲨᲘ ᲐᲛᲮᲔᲚᲐ ᲗᲐᲜᲮᲐ ᲒᲐᲘᲮᲐᲠᲯᲝᲡ**"**

რატომ იზრდება პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხარჯები

პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაფინანსების ზრდა, რომელიც 2 อิก ตักทธิ์ 200 รับรูป ตรศิป รตุธีกรุป, รศรსამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებში ეჭვებს აჩენს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე სულხან სალაძე თვლის, რომ საკითხის კენჭისყრის დროს დეპუტატებმა მკაფიო და ნათელი კითხვები უნდა დას-ვან, თუ რა მიზნებს მოხმარდება ეს

– რაღაც მკაფიო ხედვის გარეშე, მწყობრი ნაბიჯების გარეშე დაფინანსების ზრდა იქნება მორიგი ფინანსური წახალისება, რომელიც ისეთივე მილიონების ხარჯვა იქნება, რომელიც აქამდეც არაერთხელ გვინახავს. ამი-ტომაც ვფიქრობ, რომ როდესაც ამ საკითხზე პარლამენტში კენჭისყრა იქნება, დეპუტატებმა მკაფიო და ნათელი კითხვები უნდა დასვან, თუ რა მიზნებს

მოხმარდება ეს ფინანსები, – განაცხადა სულხან სალაძემ.

"ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" აღმასრულებელი დირექტორი გიორგი კლდიაშვილი თვლის, რომ 2 მილიონ 200 ათასი ლარი 2019 წლის ბოლომდე დარჩენილ 2 თვეში საგარეო ვიზიტებზე დასახარჯად წარმოუდგენლად დიდი თანხაა.

– ძირითადი აქცენტი გათვა ლისწინებულია საგარეო ვიზიტზე. წარმოუდგენელია, რომ ბოლო 2 თვის განმავლობაში 2 მილიონ 200 ათასის ვიზიტი განხორციელდეს. თუ ნამდვილად ვიზიტებზე დაიხარჯა ეს თანხა, ძალიან ფეშენებელური ვიზიტები გა-

ალბათ, სადმე სხვა პლანეტაზე უნდა მოხდეს ვიზიტი, რომ ამხელა თან-ხა გაიხარჯოს ბოლო ორ თვეში. სავარაუდოდ, აქ საუბარია ადმინისტრაცი-



ის წარმომადგენლობით ხარჯებზე, რაზეც, ძირითადად, წავა ეს თანხა, – განაცხადა გიორგი კლდიაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ბიუჯეტი რამდენიმე მილიონით იზრდება. ცნობილი გახდა, რომ ადმინისტრაციას დამატებით 2 მილიონ 200 ათასი ლარი ვიზიტებისა და ღონისძიებების ჩასატარებლად სჭირდება

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲦᲔᲜᲒᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲦᲐ



გუშინ, 6 ოქტომბერს, საღამოს, თბილისში გერმანიის პრეზიდენტი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი ჩამოვი-

მას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი

– გერმანია არის ჩვენი ძალიან ძლიერი მხარდამჭერი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სუვერენიტეტის, ჩვენი ევროპული და ევოეიიტეტია, იკეიი ეკოოთული და იე როატალანტიკური ინტეგრაციის. ასევე მნიშვნელოვანია კანცლერ მერკელის ვიზიტის დროს მიღნული შეთანხმე-ბა, რომელიც თანდათან სრულდება.

ჩვენ გერმანიასთან გვაქვს ძა-ლიან ინტენსიური თანამშრომლობა

ეკონომიკური მიმართულებით, – აღნიშნა ზალკალიანმა.

დახვედრის ოფიციალურ ცერემონიაზე იმყოფებოდა ასევე საქართველოს ელ-ჩი გერმანიაში ელგუჯა ხოკ-

– საუბარია ორმხრივ პოლიტიკურ ურთიერთობაზე, ასევე ეკონომიკური თანამ-შრომლობის გაღრმავებაზე. გერმანიის პრეზიდენტს კონსტიტუციით პოლიტიკური ფუნქციები შეზღუდული აქვს,

მაგრამ მას შეუძლია ძალიან კარგი იმპულსების მიცემა გერმანიის ყოველდღიური პოლიტიკისთვის, – აღნიშნა ელგუჯა ხოკრიშვილმა.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში დღეს დაგეგმილია პრეზი-დენტ სალომე ზურაბიშვილთან პირისპირ შეხვედრა, ასევე მოლაპარაკებები გაფართოებულ ფორმატში. გაკეთდება განცწადებები მედი-

ისთვის.

3-დღიანი ვიზიტის ფარგლებ-ში გერმანიის პრეზიდენტი ასევე შეხვდება საქართველოს პრემიერ-მი-ნისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს, კათოლიკოს-პატრიარქსა და ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებს.

აჭარის ტელევიზიასთან აქცია გაიმართა

გუშინ, 6 ოქტომბერს, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს შენობასთან კამპანია "სირცხვილიას" ფარგლებში აქცია გაიმართა. როგორც შეკრებილებმა განაცხადეს, ისინი აჭარის ტელევიზიის თანამშრომლებს სოლიდარობას უცხადებენ და ამბობენ, რომ ხელისუფლების მხრიდან მედიასაშუალების

მუშაობაში ჩარევის საფრთხე არსებობს, რაც სარედაქციო დამოუკიდებლობას შეცვლის. აქციის მონაწილეები აჭარის ტელევიზიის ბორდს მოუწოდებენ, რომ მაუწყებლის

დირექტორი დროულად აირჩიონ და ის იყოს დამოუკიდებელი ფიგურა.
სარედაქციო დამოუკიდებლობის საფრთხეებზე რამდენიმე დღის წინ აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტებმა ბრიფინგზე ისაუბრეს, მათ დიპ-ლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს ყურადღების გა-

საერთაძოოისო ოოგასიას განმავლობაში აჭარის ტელე-მოჩენა სთხოვეს.
ბოლო 6 თვის განმავლობაში აჭარის ტელე-ვიზიის დირექტორის ასარჩევად კონკურსი სამ-ჯერ გამოცხადდა, ბორდის წევრებმა დირექტორი ვერ აირჩიეს. მეოთხედ გამოცხადებული კონკურ-სი კი ბათუმის საქალაქო სასამართლომ შეაჩერა, რადგან ერთ-ერთმა კონკურსანტმა გიორგი კოხრეიძემ პორდს უჩივლა.



JJAJCOMIN **ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ 57 ᲬᲚᲘᲡ ᲥᲐᲚᲡ ᲓᲐᲔ**ᲯᲐᲮᲐ

გუშინ, 6 ოქტომბერს, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კარალეთში ქვეითს ავტომანქანა დაეჯახა.

დაშავებული 57 წლის ქალი სასწრაფო დახმარების ჯგუფმა კლინიკა "გორმედ-' გადაიყვანა.

პაციენტს მრავლობითი ტრავმული დაზიანებები აღენიშნება.

— პაციენტი შემოყვანილია პოლიტრავმით, აღენიშნება ტრავშები გულმკერდის, მუცლის, მენჯების არეში, – უთხრა ინტერპრესნიუსს ექიმმა ვიტალი სავანელ-

ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

abaen a dinc m **ᲒᲐᲛᲝ**ᲦᲘᲡ

1993 წლበს

23 በ3ᲚᲘᲡᲘᲦᲐᲜ

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი **რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი

კლარა ბალავაძე **დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

საფინანსო სამსახური – **სარეკლამო სამსახური** – 294-02-55

გავრცელების სამსაზური – მერაბ ლევერაშვილი

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲩᲣᲑᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ Ქ. №50, ᲛᲔ-3 ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ. ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91

ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ᲡᲝᲡᲝ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ։ "ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ 3A3&NG36&M97 "WRE39UP, P792GOFUP 33RAM 33RAM 33RAM 33RAM 33RAM 33RAM 34RAM 34R

ყოველი ასეთი სკანდალი იმდენად არ ასუსტებს პრეზიდენტს, რამდენადაც მმართველ პარტიას, მაგრამ მმართველი პარტია ახლა ჯადოსნურ ჩიხშია შესული

იაგო ნაცვლიშვილი

საქართველოს პრეზიდენტის ირგვლივ სკანდალების სერია გრძელდება. ცნობილი გახ-და, რომ პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა პედოფილიისთვის მსჯავრდებული პირიც შეინყალა. ეს ინფორმაცია "რადიო თავისუფლებამ" გაახმაურა, რომელმაც პრეზიდენტის ადმინისტრაციისგან ინფორმაცია გამოითხოვა, რომელმაც მედიას კონკრეტული შეწყალებულების სია არ მიაწოდა და მხოლოდ იმ მუხლები სია გაუგზავნა, რომლებითაც გასამართლებული მსჯავრდებულები შეიწყალეს. აღმოჩნდა, რომ ერთერთი ასეთი საქმე პედოფილიის მუხლით გასამართლებულ პირსაც შეენო.

პრეზიდენტის მორიგ სკანდალთან დაკავ-შირებით "ახალ თაობასთან" ინტერვიუში პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე საუბრობს

– ცნობილი გახდა მორიგი სკანდალი პრეზიდენტის შეწყალებებთან დაკავშირებით. როგორ აფასებთ ამას და ხომ არ ფიქრობთ, რომ ნელ-ნელა იმპიჩმენტს ვუახლოვდებით?

არა, იმპიჩმენტი გამორიცხულია, იმიტომ რომ ამან უკვე ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო, აქ უკვე ობიექტური ქმედება ხელისუფლების მხრიდან აღიქმება, როგორც დაუშვებელი და შესაძლოა, სამოქალაქო დაპირისპირებამდეც კი მივიდეთ. საკითხი ასე დგას, რომ პრეზიდენტი გახდა სიმბოლური ბარიერი. პრეზიდენტის ნე-ბისმიერი პოზიციის დათმობა, მისი გადაყენება, შეზღუდვა, რეალური კრიტიკაც კი აღიქმება მმართველი პარტიის მარცხად. ამიტომ დღეს მოხდა ის, რაც იშვიათად ხდება ხოლმე მსოფლიო დიპლომატიაში. თვითონ მმართველი პარტიისთვისაც კი ობიექტურად მიუღებელი, მავნე და მხოლოდ ზიანის მომტანი და მისი რეპუტაციის დამაქვეითებელი პოლიტიკოსი თვითონვე ჩასვა ტანკში "ოცნებამ". ტანკში ზის დღეს სალომე ზურაბიშვილი რეალურად.

– სამოქალაქო დაპირისპირება ახსენეთ. ამას რაში ხედავთ და ვის და ვის შორის?

– მმართველ პარტიასა და ოპოზიციას, თუ გნებავთ, დანარჩენ საზოგადოებას შორის. ვინაიდან აქ არ არის მხოლოდ პარტიული დაპირისპირება იმავე სალომე ზურაბიშვილთან. ჩვენი პრეზიდენტი დღეს მიუღებელია არა მხოლოდ პოლიტიკური ოპოზიციისათვის, არამედ ქვეყნის ინტელიგენციისათვის. მე, მაგალითად, არც ერთი პარტიის წევრი არ ვარ, არც ნაციონალური მოძრაობის გულშემატკივარი ვარ, მაგრამ ჩემ-

თვის ეს ქალი მიუღებელია.
— მაშინ, რატომ გამოინვევს ეს დაპირისპირებას, თუ ყველა ვთანხმდებით, რომ მიუღებელია და შესაძლოა, მხოლოდ "ოცნების" რამდენიმე წევრი არ იყოს ამაზე თანახმა?

– მიუღებელია საზოგადოებისთვის, მაგრამ, ვინაიდან ეს ქალბატონი არ იყო არჩეული დემოკრატიული წესით, დღეს ვერ გამოვა მმართველი პარტია და ვერ იტყვის, რომ ხალხმა აირჩია და გადაწყვიტეთ, რაც გინდათ, ის ქენი-

- თუმცა გვაქვს რეალობა, რომ თავისი ქმედებებით ქვეყანას მიაქანებს უფსკრულისკენ. ამ ვითარებაში რა უნდა გავაკეთოთ?

– არაფერი. ელემენტარულად, ვნახეთ, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური როგორც ჩატარდა და აქ უკვე გარკვეულია, რომ საზოგადოებრივი აზრი, როგორც პოლიტიკური ფენო-მენი, "ქართული ოცნებისთვის" დღეს არაფერს წარმოადგენს

– ანუ იმას ამბობთ, რომ "ქართულმა ოც-ნებამ" იმდენად შორს შეტოპა, უკან დასახევი გზა არ დაიტოვა?

ახლა კი არ წავიდა შორს, არამედ თავიდანვე არ დაიტოვა უკან დასახევი გზა, როდესაც მან წამოაყენა სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურა, მაშინ როდესაც თვით "ოცნების" უმრავლესობაშიც კი არ სარგებლობდა მხარდაჭერით. ეს იყო საბედისწერო შეცდომა და ამის შემდეგ მოდის ამ შეცდომის შედეგად.

ყოველი ასეთი სკანდალი იმდენად არ ასუსტებს პრეზიდენტს, რამდენადაც მმართველ პარტიას, მაგრამ მმართველი პარტია ახლა შესულია ჯადოსნურ ჩიხში.

– ანუ რეალურად "ქართულ ოცნებას" ძირს სალომე ზურაბიშვილი უთხრის?

— კი. დღეს უკვე ის ვერ გაწირავს პრეზი-დენტს. გვახსოვს, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილი გამოვიდა და თქვა, მე შევცდი მარგველაშვილში, 60 წლის კაცი ვხდები და არ მინახავს, ადამიანი ასე შეცვლილიყოს 1 წელინადშიო. ამას ვერ იტყვის ზურაბიშვილზე, ვინაიდან მარგვე-ლაშვილს თვითონ "ოცნების" თვალში ჰქონდა მაღალი რეპუტაცია და საზოგადოებაც არ იყო ნეგატიურად განწყობილი მის მიმართ არასოდეს, ზურაბიშვილისადმი საზოგადოების დამოკიდებულება ყოველთვის არაერთფეროვანი იყო, დაწყებული გამსახურდიას მმართველობიდან. შესაძლოა, საზოგადოების ახალ თაობას არ ახსოვს, მაგრამ უმრავლესობას ხომ გვახსოვს, რას არ უწოდებდა ზურაბიშვილი გამსახურდიას. ფაშისტი იყო ყველაზე რბილი შეფასება მისი მხრი-


ამიტომ ახლა "ოცნება" ჯადოსნურ ჩიხში შევიდა, ვერ გაწირავს მას. აგერ დეპუტატი ნუკრი ქანთარია ამბობს, აქ პიროვნებებს კი არ იწყალებენ, არამედ მუხლები მოქმედებსო. პრეზიდენტი იურისტი არ არის და არ შეიძლება იცოდეს, რა შეიძლება იყოს ის 140 მუხლი, რომელ დანაშაულებზე მოხდა შეწყალებაო.

- მაშინ ლოგიკურია, რომ გამოიკვეთოს ვიღაცის ბრალეულობა და დაისაჯოს სისხლის სამართლის წესით. ასე არ არის?

რასაკვირველია. ახლა მე იმას კი არ ვამბობ, რომ ქანთარიას არგუმენტი დამაჯერებელია. ქანთარიას განცხადებას ვერც უწოდებ არგუმენტს. ყველა მუხლის უკან ცოცხალი ადამია-ნია, რა, რობოტები ვართ? საბოლოო ჯამში, ცოცხალ ადამიანს ვიწყალებთ და არა რაღაც ბიუროკრატიულ მუხლს.

– ეს არ არის პირველი სკანდალი შეწყალებებზე, ხომ არ ჩნდება სერიოზული ეჭვი, რომ ეს უკვე შეცდომა არ არის და მიზანმიმართულად ხდება დანაშაული?

- სწორედ მანდეთ მივდივარ მეც. სულ უფრო ძლიერდება ეჭვი, რომ ეს არ არის დაუდევრობა. ეს არ არის მხოლოდ პრეზიდენტის სიზარმაცე, რომ პიროვნების ბიოგრაფია მოითხოვოს. ეს არ არის ვიღაცა ჩინოვნიკის შეცდომა. ეს არის მიზანმიმართული, თანაც ჩვენ ვცხოვრობთ არა გერმანიაში, არამედ საქართველოში, სადაც კორუფცია უცხო ხილი არ არის და ეს იწვევს ბუნებრივ ეჭვს, თანაც ამას გვაწვდიან



პატარა ულუფებით. იმ **34** შეწყალებულებიდან სკანდალი **4-5**-ს შეეხო. აბა სულ ყველა იყოს

ახლაც "რადიო თავისუფლებას" პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გვარები არ მისცა, ოლოდ მუხლები მისცა და შემდეგ იმათ დაიწყეს ძებნა. დღეს რომ კომისია შეიქმნას, თუნდაც საპარლამენტო, რომელიც დაიწყებს ყველა შენ-ყალებულის საქმეს, მაშინ ნახეთ, რა და როგორ აღმოჩნდება. მაშინ შესაძლოა ვნახოთ, რომ 2/3 ისეთია, რომელსაც აშკარად კორუფციის სუნი

– ისიც ხომ არ ამძაფრებს ეჭვებს, როცა პრეზიდენტის ადმინისტრაციის მხრიდან გვიანდება პასუხების გაცემა და ვერ ვისმენთ არგუმენ-

– სიტუაციას დრამატიზმს ის მატებს, რომ ყველაფერი ხდება არჩევნების წინ. მე არ გამოვრიცხავ იმას, რომ არჩევნებამდე 3-4 წელი იყოს დარჩენილი, შესაძლოა მმართველ გუნდს დაეყენებინა იმპიჩმენტის საკითხი. გავა, გავა, თუ არ გავა და ნუ გავა.

დღეს უკვე ის ვითარებაა, რომ საკითხის დაყენებაც კი არ შეუძლიათ მათ. საკითხის დაყენება ეჭვის შეტანაა, ვინაიდან ეს ეხება "ოცნების საპრეზიდენტო კანდიდატს და არა რაღაცა დეპარტამენტის ხელმძღვანელს.

– ანუ ეს საპარლამენტო არჩევნებზე პირ-დაპირპროპორციულად იმუშავებს?

– რასაკვირველია. ყოველი დარტყმა ზურაბიშვილზე და ყოველი ასეთი რამე ზურაბიშვილის წინააღმდეგ უკვე ამცირებს მშართველი პარტიის გამარჯვების შანსებს არჩევნებზე. ახლა ზურაბიშვილს არაფერი ემუქრება. 5 წელი კიდევ დარჩენილი აქვს და მშვიდად არის კიდეც. ხომ ვხედავთ, რომ თავს არ იკლავს თავისმართლებით, არ დადის იმ დონემდე, რომ თავი იმართლოს, მონანიებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ის ხან ირონიით ხვდება, ხან სიცილით, ხან საერთოდ იგნორირებით, იმიტომ, რომ მას არაფერი ემუქრება, თითს ვერავინ დააკარებს.

თავის შეცდომებზე ყველამ პასუხი უნდა აგოს და რაც ხდება, ესეც კანონზომიერებაა. მმართველ პარტიას არ უნდა, პასუხი აგოს ზურაბიშვილის კაზუსზე. თუ პასუხს არ აგებს, მაშინ აგერ ხვალ არჩევნებია და მოსახლეობა თავის დასკვნებს გააკეთებს. არ დგას ეს საკითხი ასე მარტივად. მე ვერ წარმომიდგენია, როგორ გამოვა ამ სიტუაციიდან მმართველი პარტია. გამოვლენ კიდევ ტელეშოუებში და იტყვიან, აღშფოთებული ვართ, მაგრამ რა ქნას ამ ქალმა, ეს ხომ იურისტი არ არის და კანონია შესაცვლე-

მორატორიუმი გამოაცხადა, მაგრამ ვხედავთ, რომ დეკანოზი გიორგი მამალაძე ცუდად არის, არის ამის დასკვნებიც და ეკუთვნის, როგორც ავადმყოფს, შეწყალება, მაგრამ მორატორიუმია და ვერ შეიწყალებენ. პრეზიდენტის მიერ გადადგმული ყოველი ახალი ნაბიჯი ახალ არგუ-მენტებს აძლევს ხელისუფლების მოწინააღმდეგეებს და უარყოფითად განაწყობს ელექტორატის იმ ნაწილს, რომელიც ანგაჟირებული არ არის და ობიექტურობის შენარჩუნებას ცდი-

– ზურაპიშვილს ამის გარდა პასუხი არ აქვს 20 ივნისის მოვლენებზე, ბესელიას წინააღმდეგ შეტევაზე და ა.შ. გვეუბნება, რომ პრეზიდენტი პოლიტიკაში არ უნდა ჩაერიოს, სამაგიეროდ, ხაზარაძის მიერ მაია ცქიტიშვილზე გაკეთებულ შეფასებაზე შყისიერი რეაქცია ჰქონდა. ეს ნიშნავს, რომ პრეზიდენტიც "ოცნების" მესიჯ-ბოქსით მოქმედებს?

– ეს უკვე პროპაგანდაა. კი, შეეძლო ხაზარაძეს, ცოტა უფრო დელიკატურად ეთქვა, მაგრამ ჩვენი პოლიტიკური ელიტის ნაწილი ცდილობს, რომ რომის პაპზე უფრო მეტად კათოლიკე იყოს და ევროპელებზე მეტად იცავდეს ქალთა უფლებებს.

– ამ შემთხვევაში სალომე ზურაბიშვილის ქმედებაზე მაინტერესებს თქვენი პასუხი.

– შევხედოთ, ინფრასტრუქტურა რა დღეშია და ამაზე აგოს პასუხი "ოცნებამ" და არა ხაზარაძემ რა თქვა. ეს არ ღირდა ამ აურზაურად. მე უკვე სიყალბეს ვხედავ ამაში.

– შერჩევითი სოლიდარობაც ხომ არ იყო? ორმაგი სტანდარტი შლის ყველაფერს. ამ დროს უკვე გულწრფელობაზე ლაპარაკი აღარ შეიძლება. იქ უკვე სიყალბეა. ჩუგოშვილი ამ-ბობს, ბესელიასთან დაკავშირებით განცხადება გავაკეთეო, მაგრამ შედარებასა და მასშტაბებს არ აქვს მნიშვნელობა?! ხაზარაძე ლამის ჯვარს აცვეს, ამას რა უნდა პოლიტიკაში, ამ ქალების მოძულესო. მე თუ ერთი ქალი, როგორც პოლიტიკოსი, არ მომწონს, ქალების მოძულე ვარ?! ამიტომ ეს უკვე გადაჭარბებულია და, როცა რაღაცა ზომა დაკარგულია, იქ უკვე სიყალბის სუნია, ან თუნდაც თვითონ ყოფილი თავდაცვის მინისტრის მხრიდან, რომელზეც ასევე იყო შეტევა. თვითონ მაია ცქიტიშვილიც ქილიკობდა ხან ბესელიაზე და ხან ვისზე, ესეც ხომ გვახსოვს?!

როდესაც ოპოზიციას აქვს ისეთი კოზირი, როგორიც სალომე ზურაბიშვილია და ამ დროს ხელისუფლება ცდილობს, ეს გადაფაროს ხაზარაძის ერთი საეჭვო განცხადებით, ეს არაადეკვა-

– ოპოზიცია რამდენად ადეკვატურია იმ ვითარებაში, თუ მას კოზირები უჭირავს ხელში? თუნდაც სააკაშვილის განცხადება ბოკერიაზე და როცა ოპოზიციური პარტიების კინკლაობას ვხე-

– თუ პოლიტიკურ ეფექტს გულისხმობთ, შედეგზე გათვლილ ეფექტს, რა თქმა უნდა, არაადეკვატურია. ახლა ეს ახალი განცხადება რომ არ ყოფილიყო ახალი ინფორმაცია პედოფილის შეწყალებაზე, ლპლზიციას უკვე თითქმის მივიწყებული ჰქონდა შეწყალებების სკანდალი. უბრალოდ, დენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და კიდევ გვესმის ეს თემა. მერე ეს პროცესი კიდევ უფრო შენელდება და საზოგადოებრივი ინტერესი გადავა სულ სხვა თემაზე.

ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც ყოველდღე ახალი სკანდალია, მაგრამ გამოდის, რომ ზურაბიშვილის ქმედებებმა ქრონიკული ხასიათი მიიღო და ჯერ კიდევ რამდენი ახალი სკანდალი გამოჩნდება ამ შეწყალებების თემიდან, არავინ



სიათებელია მარტოობა, ოჯახიდან გარიყვა, ჩაკეტილობა. ბავშვები ხდებიან უფრო სენსიტიურები, განაწყენებულობა აქვთ სამყაროს მიმართ და ისინი მთელი არსებით ეშვებიან კომპიუტერულ თამაშებში, ინტერნეტში და იქ პოულობენ ავტორიტეტებს.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

903N436 ! ძველ ანტიკვარულ ნივთებს,

ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს. ტელ: 598-43-98-57

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲘᲛᲐᲢᲐ ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲔᲑᲨᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲔᲑᲛᲐ ვერიკო გოჯიაშვილი: "გამოსავალია მეტი სითბო და სიყვარული მოზარდებს"

ნონა ცაბაძე

"ახალი თაობის" კითხვებს ფსიქოლოგი ვერიკო გოჯიაშვილი პასუხობს.

ქალბატონო ვერიკო, ბოლო პერიოდია, კვლავ იმატა თვითმკვლელობის ფაქტებმა მოზარდებში. ძირითადად ამას კომპიუტერულ თამაშ "ლურჯ ვეშაპს" უკავშირებენ. როგორია თქვენი, როგორც ფსიქოლოგის შეფასებები და რა სტატისტიკური მონაცემები არსებობს მსგავს ფაქტებთან დაკავშირებით?

– ამ თამაშმა, მთლიანად თავისი არსებობის განმავლობაში, შეიწირა 150-ზე მეტი ბავშვის სიცოცხლე. მცდელობა იყო უამრავი, თუმცა დროული ყურადღების გამოჩენის ფონზე ბავშვების სიცოცხლე გადაარჩინეს. მას შემდეგ, რაც დააკავეს ამ თამაშის ერთ-ერთი მოდერატორი და თითქოს დაიბლოკა, ძალიან მალე თამაში ახალახალი სახელებით გამოჩნდა ინტერნეტსივრცეში. – თქვენთვის თუა ცნობილი თამაშის სა-

ხელწოდებები? - ეს არის: ლურჯი თვითმკვლელი, ჩემი სახლი, ვეშაპების ზღაპარი, ასევე არის ამ სახელწოდებით – გამაღვიძე 5-ის 20 წუთზე და ასე

შემდეგ. რაც მთავარია, ძალიან ადვილია დარეგისტრირება და თამაშში ჩართვა. შედიან ბავშვები ერთ-ერთ საიტზე და ძალიან მარტივად რეემდეგ იწყება მი ისტრირდებიან. ერთ-ერთი ასეთია, რომ ადექი 5-ის 20 წუთზე და უყურე საშიშ ვიდეოს. რამდენიმე დღე მოზარდი დგება 5-ის 20 წუთზე.

– რატომ მაინცდამაინც ეს დრო?

ეს დრო ჩვენი ფსიქიკისთვის, ტვინისთვის არის განსაკუთრებული დრო, როცა ქვეცნობიერი მთლიანად ღიაა და ინფორმაცია კარგად შემოდის ჩვენს ფსიქიკაში. ეს ყველაფერი არის კარგად დადგმული, სპეციალურად გათ-ვლილია ამ ასაკზე, რომ ადვილად გააკეთოს იდენტიფიცირება თავისი თავისა ამ გმირებთან მოზარდშა და შემდეგ ამ თამაშის მოდერატორს გაუადვილდეს მოზარდის მართვა.

შემდეგ მოდის 50 შეკითხვა. ეს შეკითხვები ფსიქოლოგიურად არის ისე კარგად გათვლილი, რომ ეტაპობრივად რთულდება. მათი ინტერესებისთვის ზუსტად და სწორად არის ეს ყველაფე-

– და მოზარდი მიჰყავთ სუიციდამდე?

– ზოგადად მსოფლიოში შეინიშნება ახალგაზრდებში სუიციდის მატება. ეს არის განპირობებული, ერთი მხრივ, სტრესული გარემოთი, ხოლო მეორე მხრივ – ამ სატანისტური მიმდინარეობების დაჯგუფებების მატებით, რომელთა კონტროლი უკვე შეუძლებელი გახდა, იმდენად ბევრნი არიან და იმდენად ითრევენ მოზარდებს. მობლები უნდა ეცადონ და როგორმე აარ შვილები ამგვარ თამაშებს. ეს თამაშები იმდენად ჭკვიანურადაა გათვლილი და ისე ითრევს მსხვერპლს, რომ ვერც ხვდებიან, როგორ აღმოჩნდებიან ხოლმე ამ თამაშში.

– რატომ უჭირთ სამართალდამცავებს ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა?

– ძნელია, მათ კომპეტენციაში შევიჭრა და მათი საქმიანობის შესახებ ვისაუბრო. თავად დუმან ამ საკითხებზე, როცა მოგინევს მათთვის შეკითხვის დასმა. ძალიან ძნელია, ამდენი მიმდინარეობა შეაჩერო, თუმცა სამართალდამცავებმა უფრო დიდი და სერიოზული ბრძოლა უნდა გამოუცხადონ მსგავს დანაშაულს. ჩვენი მოზარ-დების სიცოცხლე ამ მხრივ დიდ საფრთხეშია.

– ძირითადად რა ტიპის მოზარდების ჩათრევა ხდება მსგავს თამაშებში?

– ძირითადად 9-დან 15 წლამდე მოზარდები არიან ჩართული. ადრე უფრო სხვა სტატისტიკა იყო. ახლა უფრო პატარა ასაკიდან ხდება ბავშვების ჩათრევა მსგავს თამაშებში. ეს არის ასაკი, როდესაც მოზარდის თვალში მშობლის ავტორიტეტი ქვეითდება და გარე წრის ავტორიტეტი მძლავრდება. ამ ასაკისთვის მეტად დამახა-



ᲐᲜᲖᲝᲠ ᲐᲑᲠᲐᲚᲐᲕᲐ: "ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐᲖᲔ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲗᲥᲕᲐ"

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე "ახალი თაობა" ესაუბრა ყოფილ დეპუტატ ანზორ აბრალავას.

– ბოლო დღეებში ხელისუფლებას ისევ უყენებენ ბრალს, რომ ის ახშობს თავისუფალ სიტყვას და პროკურატურაში იბარებს რუსთავი 2-ის ყოფილ თანამშრომლებს, რომლებიც ახლა სხვადასხვა არხზე არიან გადანაწილებული. ეს ბრალდებები ხელისუფლებას დარტყმას აყენებს?

რატომ აყენებს დარტყმას! სერიოზული დარტყმა რუსთავი 2-მა მიიღო. ევროსასამართლომ ის რამდენიმე თვის წინ გაამტყუნა. საზოგადოების თვალშიც არ გამოიყურებიან პატიოსნად რუსთავი 2-ის ყოფილი ხელმძღვანელები და წამყვანები, რომლებიც წლების განმავლობაში ატყუებდნენ მაყურებელს და შეურაცხყოფას აყენებდნენ ადამიანებს. ბულინგი სხვა კი არაფერია!

გარდა ამისა, ნიკა გვარამიას მიმართ არსებობს პრეტენზიები. თუ სხვა ადამიანები აგებენ კანონის წინაშე პასუხს თავიანთი დარღვევებისათვის, რატომ მან არ უნდა აგოს პასუხი?! გვარამიას ტელევიზია არასდროს უთმობდა ეთერს საზოგადოებას. ამოჩემებული ჰყავთ ერთი და იგივე ჯგუფი და იმას ატრიალებენ.

– ყველა ჯგუფის პოზიციის გაშუქეპა შეუძლებელია.

- რატომ არის შეუძლებელი! გაზეთები, მაგალითად, უფრო ფართო წრეს მოიცავენ. აბა, ის არის სწორი, საზოგადოების ერთი ნაწილის გამოსვლების აკრძალვაზე რომ საუბრობენ? ერთხელ ნანუკა ჟორჟოლიანმა და მასთან ერთად ინგა გრიგოლიამ ეთერში საზოგადოების ერთერთ კატეგორიაზე თქვეს, ამ ხალხს ტელევიზიებში გამოჩენა უნდა აეკრძალოთო. რასაც ნანუკა იტყვის, ის დემოკრატიაა, და რასაც სხვა დიქტატურაა? ან რუსეთთან დიალოგის გამო რა ამბავი ჰქონდათ ატეხილი.

– ზალკალიანი-ლავროვის დონეზე შედგა ხანმოკლე დიალოგი, რომელიც ეჭვებს ბადებს.

შეხვედრაა. ამ ძალიან დაგვიანებული საკითხში წინა ხელისუფლება ხომ მოღალატეობრივად იქცეოდა და ამ ხელისუფლებამაც შესცოდა. სანამ რუსეთი ბორდერიზაციას განაგრძობდა, ჩუმად იყვნენ. როგორც ჩანს, კრემლმა აქაურების ხელშეწყობით ის ხაზები გაავლო, რაც დაგეგმილი ჰქონდა, ახლა კი დაგველაპარა-

– 8-წუთიანი ნაჩქარევი გასაუბრება შეიძ-ლება, დიალოგად ჩაითვალოს?

– 8 წუთშიც შეიძლება სათქმელის თქმა, თუ დაგვიანებული არ არის. ისრაელმა 6 დღის განმავლობაში ეგვიპტესთან ომში გაიფართოვა ტერიტორია. მთავარი პრობლემა ისაა, რომ რუსეთს უნდა, დაგვათმობინოს ჩვენი ტერიტორიები. კომუნისტმა ზატულინმა ადრევე შეადარა საქართველო ფინეთს. თავის დროზე რუსებმა ფინეთს დაათმობინეს ვიბორგის მხარე. ამის შემდეგ მხარეებმა ილაპარაკეს და მორიგდნენ. ისე ვატყობ, რომ უნდათ, ჩვენც დაგვათმობინონ ის, რასაც რუსეთი საქართველოს ნაწილად არ მიიჩნევს.

"ხელისუფლების სათავეში მოსვლა ოლიგარქებს მოუნდათ"

ეს ყველაფერი 2008 წლამდე მზადდებოდა. სააკაშვილი ომამდე ამზადებდა ადგილს, სადაც შიდა ქართლიდან გამოდევნილები კომპაქტურად უნდა ჩაესახლებინათ.

– რუსეთთან დიალოგი გაგრძელდება?

არჩევნებამდე რამე ძვრებია მოსალოდნელი?

არ ვიცი. რუსეთში არიან პოლიტიკური ძალები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი საქართველოა. ჯერჯერობით მათი ხელისუფლებაში მოსვლის შესაძლებლობას ვერ ვხედავ. რუსეთის ახლანდელი პოლიტიკური ხელისუფლება ასრულებს სამხედრო ამოცანებს, რაც ტერიტორიის გაფართოებას

- საქართველოს შიდა პოლიტიკაში თუ გაჩნდა სიახლეები?

– გამოჩნდა ბიზნესის მომძლავრება პოლიტიკაში. ოლიგარქებს მოუნდათ ხელისუფლების სათავეში მოსვლა. მხედველობაში მყავს მამუკა ხაზარაძე, რომელთანაც დაკავშირებულია ავთო წერეთელი. წერეთლის შვილი ტვ პირველის დამფუძნებელია. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ მედია მუშაობს იმ სკანდალებსა და საკითხებზე, რომლებიც ხაზარაძე-წერეთელს აწყობთ.

– ტვ პირველი სხვა პოლიტიკოსებსაც დიდ დროს უთმობს.

გიგა ბოკერიასა და მის გარემოცვას უთმობენ ეგენი მთელ დროს. ბოკერია პოლიტიკური უბედურებაა. მას აქვს მძიმე წარსული, რომლის შესახებაც ახალგაზრდებმა არ იციან. ბოკერიას არანაირი რეიტინგი არა აქვს. თუ სადმე 5 კაცს მოიყვანს, 5.000-ს გააქცევს.

სააკაშვილმა ბოკერიაზე რაც თქვა, სრული სიმართლეა. ბოკერიას მებრძოლი ათეისტო ბა და ტრადიციული ღირებულებებისადმი დამცინავი დამოკიდებულება ცნობილი იყო. სააკაშვილმა ეს დაადასტურა. ტელევიზიები ემსახურებიან კონკრეტულ ჯგუფებს. ამ ვითარებაში თანაბარი პირობების შექმნა არჩევნებისათვის შეუძლებელია.

- კანონმდებლობით, კვალიფიციურ *ბარ*ტიებს სხვა უფლებები აქვთ.

– კანონმდებლობა გადასახედია. იმისათვის, რომ არჩევნებში სამართლიანი შედეგი მიილო, აუცილებელია პარიტეტი საარჩევნო კომისიებში, ასევე სატელევიზიო ეთერის გახსნა. მთა-ვარია არა არჩევნებში მონაწილეობა, არამედ, ხმების დაცვა. ნაციონალურ მოძრაობას სხვა რამე აწუხებს – ნულოვანი ბარიერი არ მოსწონს.

– ნაციონალურ მოძრაობას არ უჭირს **3%**იანი ბარიერის გადალახვა და არ უნდა ბუნებრივი ბარიერი.

ეგეც საეჭვო იქნებოდა სამართლიან გარემოში. თუ პარტიებმა დაიცვეს თავიანთი ხმები, მაშინ, კაცმა არ იცის, გადალახავდა თუ არა ნამოძრაობა 3%-იან ბარიერს. პარტიები პარიტეტს არ ითხოვენ. ყველა საკითხზე მარტო ბოკერია ლაპარაკობს, ოლიგარქებიც დაფაცურდნენ. ეს ოლიგარქები, პირველ რიგში, ხაზარაძე, შთაბეჭდილებას არ ტოვებენ.

 საარჩევნო კომისიების პარიტეტულობის საკითხზე გამოსვლებს ხომ არ აპირებთ?

გამორიცხული არ არის. მე და ჩემი თანამოაზრეები აშაზე ვიფიქრებთ. საზოგადოებაც უნდა გამოფხიზლდეს. ქვეყნის განვითარების კონცეფციაზე ნამუშევარი ვართ. როგორც ვატყობ, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროგრამები, ჩვენ გარდა, არავის აქვს.

"ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ" ᲡᲘᲐᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲨᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲩᲐᲣᲦᲒᲔᲡ"

ვახტანგ ძაბირაძე: "კვირიკაშვილის ხაზარაძესთან მისვლას არ გამოვრიცხავ"



ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე "ახალ თაობასთან" ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, არსებობს ინფორმაცია, რომ შესაძლოა 2020 წლის საარჩევნო სიას სათავეში თავად ბიძინა ივანიშვილი ჩაუდგეს და თვითონ იყოს პირველი ნომერი. რამდენად რეალური შეიძლება ეს იყოს?

– არ არის გამორიცხული, რომ მართლაც თავად ბიძინა ივანიშვილი იყოს სიის პირველი ნომერი, რადგან "ქართულ ოცნებას" უჭირს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ივანიშვილი პარლამენტში დაჯდება და კანონპროექტების წერას დაიწყებს. როგორც კი დეპუტატის უფლებამოსილებას ცნობენ, ის უფლებამოსილებას

ალბათ სიის დაკომპლექტება ისევე იქნება, როგორც 2016 წელს. წარუდგენენ კადრებს, გაესაუბრება თუ არ გაესაუბრება, ეს სხვა თემაა, მაგრამ აუცილებლად თვითონ მიიღებს გადანყვეტილებას, ვინ იყოს სიაში. – ეკა პესელია ამპობს, რომ ის საერთოდ

არ იცნობდა იმ ადამიანებს, რომლებიც დღეს პარლამენტში "ოცნებას" წარმოადგენენ. ზარდიაშვილი, ოხანაშვილი კომიტეტში გაიცნო.

– კი ბატონო, გასაგებია, მაგრამ, მე არ მგონია, რომ ბიძინა ივანიშვილის მიღმა შედგა თუნდაც 2016 წლის საარჩევნო სია.

– "ოცნების" გუნდი განახლდება თუ ის

ბირთვი დარჩება, რომელსაც დღეს პარლამენტში ვხედავთ?

- ორი მოწვევის პარლამენტის წევრებიდან ვინ შეიძლება დარჩეს, მე არც კი ვიცი. "ქართული ოცნებიდან" მესამე მოწვევის პარლამენტში ალბათ არავინ იქნება. ახალგაზრდული გუნდის უმრავლესობა ალბათ ახალი მოწვევის პარლამენტშიც გადაინაცვლებს. შეიძლება, ზარდიაშვილი და ასეთი ტიპის ხალხი მოარიდონ სიას, თუმცა ეს ახალგაზრდული გუნდი თავის პოზიციებს მაინც შეინარჩუნებს.


ალბათ, ახალი სახეებიც იქნებიან. მაია მიმინოშვილი, როგორც ჩანს, არჩევს ახალ სახეებს და ისინი იქნებიან კანდიდატები, გადაწყვეტილებას კი ივანიშვილი მიიღებს.

– ხაზარაძე აქცენტს ახალგაზრდებსა და საზოგადოებისთვის თითქმის უცნობ სახეებზე აკეთებს. ამ შემთხვევაში ივანიშვილი რა სტრატეგიას აირჩევს?

– სამწუხაროდ, არ არსებობს სისტემა, როგორ უნდა შემოვიდნენ ახალი სახეები პოლი-ຽດງັ້ນປີດ. ງັບ ບ້າງຢັ້ນຕຸ້ ຕົ້ວ ກູ້ຕາ ວິຕິຕເງບົດຈ.

2016 წელს ვინმე მათიკაშვილს იცნობდა ან ოხანაშვილს?! არავინ. ცხადია, ფართო საზოგადოებას ვგულისხმობ, თორემ თავიანთ წრეში ალბათ იცნობდნენ. ამით იმის თქმა მინდა, რომ როდესაც ხელისუფლებაშია პოლიტიკური ძალა, მას ახალი სახეების შემოყვანის პრობლემა არ

არა მგონია, ივანიშვილმა აქცენტი იმ ხალხზე გააკეთოს, ვინც საზოგადოებისთვის მეტნაკლებად უცნობია. ისევ საექსპერტო წრეებიდან, ისევ იურისტებიდან იქნებიან ახალი სახეებიც, თუმცა ივანიშვილს შეუძლია, უფრო თამამი



იყოს და სრულიად ახალი სახეები შემოიყვანოს, განსხვავებით โรงจิงศารปกปลุงอี, ศัพท์อาตุปรหู จักศก-

– რა შეგიძლიათ გვითხრათ გიორგი კვი-რიკაშვილის გამოჩენაზე? ეს მართლაც მოულოდნელი გამოჩენა იყო თუ საჭირო დროს

საჭირო ადგილზე გააკეთა განცხადებები?
— კვირიკაშვილის მხრიდან ეს უფრო იყო ნიადაგის მოსინჯვა. ის რეაქციებს ელოდება. რას იზამს, მისი გადასაწყვეტია, მაგრამ მან ვერ შეძლო მნიშვნელოვანი პოლიტიკური დივიდენდების დაგროვება, რომლებსაც ახლა გამოიყენებდა. თუმცა ურიგო პრემიერი ნამდვილად არ ყოფილა ჩვენი პრემიერების ფონზე.

ერთ-ერთი ყველაზე ნორმალური პრემიერი იყო ბოლო 20-წლეულის განმავლობაში. მე ვფიქ-რობ, ის ღირსეულ შემოთავაზებას ელოდება.

– ვისთან შეიძლება იყოს?

– ვერ გეტყვით.

– ბესელიასთან ჰქონდა შეხვედრა.

– ნაკლებ სავარაუდოა, რომ ბესელიას დათანხმდეს. ყველაზე რეალისტური ხაზარაძესთან მგონია, თუმცა არც დავით უსუფაშვილთან გამოვრიცხავ. ახლა ანა დოლიძეც აკეთებს ახალ მოძრაობას, ვნახოთ. მე უფრო ამ მიმართულებით განვიხილავ გიორგი კვირიკაშვილს, ვიდრე ბესე-

– პოლიტიკაში სურს დაბრუნება ეკონომიკის ყოფილ მინისტრ გიორგი ქობულიასაც. ამას რით ხსნით?

– ძალიან უცნაური მეჩვენება ეს. კითხვაზე, თუ როგორ მოხვდა ამ "გაუგებრობაში", ადამიანმა უპასუხა: გაიკითხ-გამოიკითხეს და მომძებნესო. ამიტომ ახლა მისი სურვილი, პოლიტიკას დაუბრუნდეს, ძალიან მეუცნაურება, რადგან მას თავის დროზე არ გამოუთქვამს ასეთი სურვილი. ამიტომ მიკვირს მისი გადაწყვეტილება, რომელიც, როგორც თავად ამბობს, ჯერ კიდევ არ აქვს მიღებული და რაღაცას ელოდება.

- რატომ, შეიძლება, ვინმეს სატელიტი იყოს?

- როგორც თვითონ თქვა, თავად არ გასჩენია პოლიტიკაში ყოფნის სურვილი. ამიტომ შეუცნაურება. პოლიტიკაში ალტრუიზმის არ მჯერა.

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲘᲛᲐᲒᲐ ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲔᲑᲨᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲔᲑᲛᲐ

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ამ ასაკის ბავშვებს აქვთ მოთხოვნილება, რომ იყვნენ შექებულნი, აღიარებულნი, ძლიერები, გამბედავები და ამ თამაშებში ამ ყველაფრის რეალიზებას აკეთებენ.

– როგორი უნდა იყოს მშობლის, საზოგადოების, სკოლის როლი მსგავს სიტუაციაში?

სანამ ბავშვი ამგვარ თამაშში ჩაებმება, ყველაზე კარგია, რომ ამ ასაკის ბავშვები გავხადოთ ინფორმირებულები. პარალელურად მშობელი უნდა იყოს ყურადღებიანი, თბილი ბავშვის მიმართ, არ უნდა ჰქონდეთ დისტანცირებული ურთიერთობა, არ უნდა იყოს თემები, რომლებსაც შვილი ვერ გაგიმხელს.

– აუცილებელია მეგობრობა და არ უნდა მოხდეს გაუცხოება?

– დიახ. ზუსტად ის გაუცხოება, რომელიც მშობელთან ემართება, არის ერთ-ერთი პირობა იმისა, რომ მერე სხვა სამყაროში ეძებს მეგობარს და ეძებს იმას, ვინც ალიარებს და ვინც შეაქებს. რაც უნდა დიდი იყოს შვილის შეცდომა და არასწორი ქცევა, ჩვენ თუ მას ამ შეცდომებით არ მივიღებთ, თითს დავუქნევთ და მუშტს დავუბრა-ხუნებთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოზარდი ამას არ გააკეთებს. ეს ნიშნავს იმას, რომ ის ჩვენთან აღარ იტყვის და შეცდომას შეცდომა დაემატება.

თუ ჩვენ შორის დიდ კედელს ავაშენებთ, შვილს ამით ვერ დავიცავთ. ამით მხოლოდ საკუთარ თავს დავიცავთ, არ გვექნება ინფორმაცია შვილის შესახებ. ამ დროს კი ბავშვები შეცდომას შეცდომაზე უშვებენ და ვერ აანალიზებენ, რას

– რა დროს უნდა მიმართოს მშობელმა ფსიქოლოგს დახმარებისთვის?

სამწუხაროდ, ჩვენი მშობლები ფსიქოლოგს მიმართავენ მხოლოდ მაშინ, როდესაც მდგომარეობა ძალიან რთულია ან უკიდურესია. მშობელი, რომელსაც შვილი ეყოლა და აპირებს მის აღზრდას, მაშინვე უკავშირდება პედიატრს, იწყებს მასზე ზრუნვას, კვება, აცრები, ამ ყველაფერს ათანხმებს პედიატრთან. რატომ არ შეიძლება, რომ ასევე პატარაობიდანვე, სანამ რაღაც პრობლემები წარმოიქმნება, მშობელმა კონტაქტი იქონიოს ფსიქოლოგთან, გაიაროს კონსულტაციები, მოიპოვოს ინფორმაცია და შვილს მიუდგეს ისე, როგორც ამის საჭიროებაა.

ეს ერთგვარი პრევენციაა, რომ სიტუაცია არ გაგვირთულდეს. მშობელი შვილთან ერთად უნდა გაიზარდოს, ამ პროცესში უნდა ისწავლოს მშობლობა.

ქკვლელობამ მოზარდებში. რა არის ამის მიზე-ზი? – ლურჯი ვეშაპის გარეშეც იმატა თვით-

- დიახ, სუიციდის შემთხვევების სტატისტიკა ძალიან მზარდია. ამის მიზეზი ძალიან ბევრია და არა მხოლოდ ეს თამაში. ეს არის გადაჭარბებულად მკაცრი და დაუნდობელი სტრესული გარემო, ადამიანის გამოფიტვა სულიერი ღირებულებებისგან, გადაჭარბებული უიმედო-

ბა, პრობლემის დაუძლევლობის განცდა, სულიერი ღირებულებების ჩანაცვლება მატერიალური ფასეულობებით, რაც ჩვენს ქვეყანაში ძნელი მოსაპოვებელია.

აქედან გამომდინარე, ეცემა თავდაჯერება, თვითშეფასება, ამას ერთვის ურთიერთობების, სიხარულისა და სიყვარულის ნაკლებობა. ადამიანი ხდება გამოფიტული, იხრება პესიმიზმისკენ და შემდეგ ხშირია სუიციდის მცდელობები.

– გამოსავალი ამ სიტუაციიდან?

– გამოსავალი არის მხოლოდ თბილი და მეგობრული გარემოს შექმნა მოზარდებისთვის, მეტი სითბო და სიყვარული, განათლების სისტემის უკეთ მორგება ბავშვებზე.

აუცილებელია სკოლებში ფსიქოლოგების არსებობა და მათი აქტიურობა, ასევე მეგობრული მასწავლებელი, მეგობრული გარემოს შექმნა.

დღეს ბულინგმაც ძალიან იმატა. საჭიროა ამ ყველაფრის აღმოფხვრა და ამაზე აქტიური მუშაობა, რომ სავალალო შედეგები არ მივიღოთ.



ᲨᲝᲗᲐ ᲭᲘᲭᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲐᲡᲕᲔᲜᲔᲡ

ის მატანში, მამიდის სახლში გადაასვენეს

უკრაინაში სპეცოპერაციის დროს მოკლული შოთა ჭიჭიაშ-ვილი 5 ოქტომბერს საქართველოში ჩამოასვენეს. თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან ახლობლებმა ჭიჭიაშვილი მშობლიურ სოფელ მატანში მამიდის სახლში გადაასვენეს. ოჯახის წევრებს მომხდარის დეტალებზე საუბარი უჭირთ.

შოთა ჭიჭიაშვილი 2 ოქტომბერს, უკრაინაში სპეცოპერაცი-

შოთა ჭიჭიაშვილის სახელს უკავშირდება არაერთი ხმაურიანი საქმე, მათ შორის მისი გვარი ფიგურირებდა ბრიტანელი ბიზნესმენის პიტერ შოუს გატაცებაში. ასევე ჭიჭიაშვილის სახელს უკავშირებდნენ პეტრე ცისკარიშვილისა და მისი საცოლის გატა-

ცებას 2001 წელს.

ჭიჭია $ar{3}$ ვილის სახელი და გვარი გაისმა 2001 წლის მუხროვანის სამხედრო ამბოხებასთან დაკავშირებით, თუმცა ზუსტი ინფორმაცია ამ საკითხზე არ არსებობს.

ჭიჭიაშვილის გვარი გაჟღერდა ასევე დეპუტატ გივი თარგამაძის მანქანის აფეთქების

2001 წელს ჭიჭიაშვილზე საქართველოში ძებნა გამოცხადდა, რის შემდეგაც მან საქართველოს ტერიტორია დატოვა და საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა. ორი წლის შემდეგ ჭიჭიაშვილი მოსკოვში დააპატიმრეს. 2004 წელს ჭიჭიაშვილი ქართულ მხარეს გადმოსცეს. სასამართლომ ჭიჭიაშვილს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისთვის და ტერორისტული საქმიანობისთვის 22-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. საბოლოოდ, ჭიჭიაშვილმა საპატიმრო ვადიდან 7 წელი მოიხადა.

2013 წლის ივნისს ჭიჭიაშვილი საყოველთაო ამნისტიის საფუძველზე გათავისუფლდა. ამის შემდეგ იგი საცხოვრებლად უკრაინაში გადავიდა.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲒᲝᲩᲐ ᲕᲔᲤᲮᲕᲐᲫᲔ ᲓᲐᲥᲠᲔᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲠᲒᲐᲕᲐᲖᲔ ᲚᲔᲥᲡᲣᲡᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲛᲝᲐᲒᲓᲔᲡ

გუშინ, 6 ოქტომბერს, თბილისში 41 წლის მამაკაცი დაჭრეს.

_გოჩა ვეფხვაძეს ცეცხლსასროლი იარაღიდან 4 ტყვია ესროლეს. თავდამსხმელებმა გულმკერდისა და ფეხის არეში მძიმედ დაჭრილი მამაკაცი შარტავას ქუჩაზე ვერცხლისფერი ლექსუსით მიიყვანეს, მანქანიდან გადმოაგდეს და შემდეგ ადგილიდან მიიშალნენ.

მამაკაცი რეგიონულ ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

– გოჩა დაჭრილი მოიყვანეს და დააგდეს აქ, ყველამ დაინახა, – თქვა ვეფხვაძის დეიდაშვილმა.

თვითმხილველის ინფორმაციით, კონფლიქტი გახოკი ძის 3 ნომერში დაიწყო, მას შემდეგ, რაც ეზოში ლუდის დასალევად შეკრებილ 6 მამაკაცს 12 საათზე გოჩა ვეფხვაძე მეგობართან ერთად შეუერთდა. ამის შემდეგ შეიქმნა დაძაბული ვითარება და იქ მყოფმა პირებმა ტერიტორია დატოვეს.

კონფლიქტი ლისის ტბაზე გაგრძელდა, სადაც ის სისხლიან გარჩევაში გადაიზარდა.

მომხდარის სავარაუდო მოტივად ანგარიშსწორება სახელდება. ახლობლების ინფორმაციით, ვეფხვაძეს წარსულში გარკვეულ პირებთან დაპირისპირება ჰქონდა, რის შემდეგაც ქვეყნის დატოვება მოუხდა.

პოლიციის თანამშრომლებმა სათვალთვალო კამერების ჩანაწერები ამოიღეს. როგორც "კურიერს" შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, საქმე **236**-ე მუხლის, მე-3 და მე-4 ნაწილით, 117 და 143-ე მუხლითაა აღძრული, რაც ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა/შენახვა/ტარებას, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას და თავისუფლების უკანონოდ აღკვეთას გულისხმობს.

ᲗᲐᲛᲗᲐ ᲗᲝᲓᲐᲫᲔ "ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ" ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢ ᲘᲚᲘᲐ ᲯᲘᲨᲙᲐᲠᲘᲐᲜᲡ ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲡ

დასაწყისი მე-2 გვერდზე ასეთი ამბავი გავიგე, მართალიაო?! დავუდასტურე. მან თქვა, რომ ჯერ არ მინახავს ილიაო, მაგრამ მე მივხვდი, ისეთი შეკითხვა დამისვა, რომ ნანახი ჰყავდა. თქვა, რომ ის ამბობს, თვითონ დაამტვრია პრინტერიო. მე ვუთხარი, გამორიცხულია მსგავსი ფაქტის მოგონება-მეთქი. 2 შვილი გყავს, გოგონა და თქვენს შვილს რომ ასეთი რამე გაუკეთონ, როგორ მოგენიბამეთქი და ხელები ამიწევიაო, მითხრა, ახლა წავალ, ვნახავ მას და დილის 11 საათამდე ამოვალ და გნახავო.

დილას მართლა ამოვიდა და გარიგებაზე არ ყოფილა ლაპარაკი. მხოლოდ ასე მითხრა, რომ გავლენიანია, მაგასთან ვერაფერს ვერ გავხდები და იქნებ მოვრიგებულიყავით, მაგრამ კონკრეტულად რაზე, არ ყოფილა ლაპარაკი. მორიგება ნიშნავს გაჩუმებას. მაინც ვერაფერს გახდებით და იქნებ დაგელაპარაკათო. ეს იყო მისი სათქმელი, – განაცხადა ხათუნა ოქროპირიძემ.

მისივე თქმით, გამოძიების მიერ ამოღებულია ვიდეომტკი-ცებულება, სადაც ჩანს, თუ როგორ გამოდის თამთა თოდაძე იმ ოფისიდან, სადაც შემთხვევა მოხდა.

– დასტურდება ფაქტი, კამერები ამოღებულიაო, როგორც მითხრა გამომძიებელმა. პროკურატურა რას ამბობს-მეთქი და თავს იკავებს, რაღაცას ელოდებაო და არ ვიცი, რას. კამერებში

ჩანს, როგორ გამოდის ჩემი შვილი ოფისიდან, – განაცხადა ოქროპირიძემ.

მომხდართან დაკავშირებით კომენტარი ფრაქცია "ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე ბექა დავითულიან-

– ჩვენ, ისევე, როგორც საზოგადოება, ველო დებით გამოძიების შედეგებს, მანამდე წინსწრებით შეფასებების გაკეთება არ არის სწორი, – განაცხა-

მისი თქმით, ბრალდება არის ძალიან მძიმე და ამიტომ, ერთი მხრივ, არც წინასწარი შეფასებე-ბის გაკეთება და წინსწრებით დასკვნების გამოტანა შეიძლება და, მეორე მხრივ, შემწყნარებლური დამოკიდებულებაც გამორიცხულია.

— ის ადამიანი, რომლის მიმართაც ბრალია გაჟღერებული საავადმყოფოში გულის შეტევით არის მოთავსებული. ამიტომ უნდა დაველოდოთ გამოძიების შედეგებს და თავი შევიკავოთ წინასწარი განცხადებებისგან.


ბრალდება ძალიან მძიმეა. ქალთა მიმართ ჩადენილი დანა-

შაული ჩვენთვის სენსიტიური საკითხია, რომელზეც შემწყნარებლური დამოკიდებულება არ გვექნება. მთავარია, გამოძიებამ გასცეს პასუხი შეკითხვას – ჩადენილია თუ არა საერთოდ დანაშაული, – განაცხადა ბექა დავითულიანმა.

მან დეპუტატისთვის მანდატის შეჩერების საკითხზეც გააკეთა განცხადება და აღნიშნა, რომ მანდატის შეჩერების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

 2 წლის წინ ჩვენი კოლეგა დააკავეს,
 რომელიც დღემდე პატიმრობაშია და უზენაესი სასამართლოს განაჩენს ელოდება. მას მანდატი ამ დრომდე არ გაუქმებია, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს პირველი ინსტანციის განაჩენი. ამის სამართლებრივი ვალდებულება და საფუძველი არ გაგვაჩნია, – განაცხადა ბექა დავითულიანმა.

გამოძიება 3 მუხლით მიმდინარეობს, კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით, რაც ძალადობას გულისხმობს, ასევე 138-ე მუხლით, რაც სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებას და 187-ე მუხლით, რაც ნივთის დაზიანებას



ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲨᲘ ᲛᲒᲙᲕᲐᲠᲛᲐ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘᲡ ᲪᲮᲔᲦᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲧᲐ

რუსთავში მდინარე მტკვარმა მამაკაცის ცხედარი გამორიყა. როგორც ინტერპრესნიუსისათ-ვის გახდა ცნობილი, მამაკაცი შუახნის არის და მისი ვინაობა დადგენილია.

შსს-ს ინფორმაციით, გარდაცვლილის ცხედარი ლევან სამხარაულის სახელობის ქვემო ქართლის ექსპერტიზის ბიუროში გადაასვენეს. მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექ-სის 115-ე მუხლით მიმდინარეობს.

ᲭᲝᲠᲕᲘᲚᲐᲨᲘ 17 ᲬᲚᲘᲡ ᲚᲣᲙᲐ **Ი**ᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲗᲐᲕᲘ **ᲩᲐᲛᲝᲘ**ᲡᲠᲩᲝ დამ როცა ნახა, პულსი ჯერ კიდევ ჰქონდა, მაგრამ ვერ გადაარჩინეს

საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭორვილაში არასრულწლოვანმა ლუკა ივანიშვილმა თავი ჩამოიხრჩო.

ნიუპოსტის ცნობით, ოჯახთან დაახლოებული ადამიანები ყვებიან, რომ ბიჭი იმ დღეს ნასვამი იყო, თუმცა, რა მოტივით უნდა ჩაედინა ლუკას თვითშკვლელობა, გაუგებარია. ინტერნეტთამაშ ლურჯ ვეშაპთან მო-ზარდის კავშირს ახლობლები გამორიცხავენ.

მოზარდი საცხოვრებელი სახლის სარდაფში, ჩამომხრჩვალი საკუთარმა დამ ნახა. პულსი ჯერ კიდევ ჰქონდა, თუმცა მისი გადარჩენა ვეღარ მოხერხდა.

ლუკა ივანიშვილი ყველასთვის საყვარელი მოზარდი იყო. გამოირჩეოდა განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით და მღეროდა არაჩვეულებრივად, ის სასულიერო პირის, მამა არკადის, შვილია, რომელიც ჭორვილის ეკლესიაში მსახურობს. როგორც ახლობლები გვიყვებიან, ლუკა თავადაც ატარებდა სტიქარს.

ლუკა ივანიშვილი გუნდ "ჩანამღერში" მღე-



მის ფეისბუქგვერდზე კომენტარებით ეხმაურებიან.

"შენ მოგიკვდა შენი ბებო, ჩემო თბილო, ჩემო ჭკვიანო და ჩემო ნიჭიერო ბიჭო, ეს რა ქენი, ბებო, რატომ დაგვღუპე, ნათელში

მიმყოფოს შენი წმინდა სული, სან-თელი და საკმეველი არ მოგკლებოდეს. ჩვენო დიდო ტკივილო!!!!!!!!!" – წერს ლუკას ფეისბუქ გვერდზე ციალა ბუღაძე.

"ასე როგორ მოექეცი შენს თავს ლუკა? ასე როგორ მოიქეცი ლუკააა მეგონა შენს საოცარ ხმას მთელი მსოფლიო მოისმენდა და შენით ყველა იამაყებდა ლუკა ღმერთო ეს რა ხდებაააა "დღევანდელი დღე ასე არ უნდა გათენებუ-

ლიყო... ື່ອີງ6 ເທົ່າ ດອດປູເພິ່ງ ເຄືອນ ... ອີຣິຊິຄູເຄືອນ ອີດູ ვიღაცები უნდა ყოფილიყვნენ და შენ ჩვენთან..." მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვით-

მკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.



ინტიმური მიმოწერის გასაჯაროების მუქარით ის ქალს ფულს სძალავდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 1993 წელს დაბადებული ლ.მ., გამოძალვის ბრალდებით გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდში დააკავეს. ჩადენილი დანაშაული 2-დან 4 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა სოციალური ქსელის მეშვეობით გაიცნო ქალი, რომელთანაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ინტიმური ხასიათის მიმოწერა ჰქონდა. ქალმა ლ.მ.-ს საკუთარი სურვილით გაუგზავნა პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტო და ვიდეომასალა. ამის შემდეგ, ლ.მ. ქალს მათი მიმოწერისა და აღნიშნული ფოტო-ვიდეომასალის არგასაჯაროების სანაცვლოდ, აზარტული თამაშების ერთ-ერთი ვებგვერდის საკუთარ ანგარიშზე, გამოძალვის გზით, ფულს სისტემატურად არიცხვინებდა.

გამოძიება გამოძალვის ფაქტზე საქართველოს სსკ-ს 181-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

<u>ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲔᲜᲐᲑᲦᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲨᲘ ᲨᲔᲪᲦᲝᲛᲘᲗ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲔᲡ</u>

თურქეთში რუსთაველი მამაკაცი შეცდო-

23 წლის გიორგი მენაბდიშვილი ქურდობაში ეჭვმიტანილ სხვა ქართველ მამაკაცში შეეშალათ და 15 დღის განმავლობაში დაკავებული

ახალგაზრდა იტალიიდან ცოლ-შვილთან ერთად ბრუნდებოდა, როდესაც სტამბოლის აეროპორტში დააკავეს.

ადგილობრივი ადვოკატის ცნობით, ახალგაზრდას დაკავების მიზეზი გახდა ის, რომ მას და ქურდობაში ეჭვმიტანილს ერთი და იგივე სახელი, გვარი და დაბადების თარიღი აქვთ.

"ინფო რუსთავი" უკანონოდ დაკავებულის, გიორგი მენაბდიშვილის მეუღლეს დაუკავშირ-

– ჩვენ ვბრუნდებოდით იტალიიდან, როიზნით მოხდა ჩემი მეულ ლის შეჩერება, რამდენიმე წამში კი ისე, რომ ბა.

არავის არაფერი განუმარტავს, ის დააკავეს. 5 დღე მის შესახებ საერთოდ არაფერი ვიცოდით, როგორც გაირკვა, გადაყვანილი ჰყავდათ მკაცრი რეჟიმის დახურული ტიპის ციხეში. მხოლოდ 5 დღის შემდეგ მოახერხა დაკავშირება და შემდეგ უკვე ჩაერია ადვოკატი, – განაცხადა "ინფო რუსთავთან" დაკავებულის მეუღლემ.

ადვოკატის დახმარებით გაირკვა, რომ ბრალდებულსა და უკანონოდ დაკავებულს შორის გარდა სახელის, გვარისა და დაბადების თარიღისა, სხვა საერთო მსგავსება არაფერი იყო. ადვოკატმა დაარნმუნა სამართალდამცავები, რომ პირს, რომელსაც ეძებენ აბსოლუტურად სხვა ვიზუალი აქვს და მამის სახელით განსხვავდებიან.

გიორგი უკვე თავისუფალია, შესაბამისი საბუთების გადაცემის შემდეგ კი ის თურქეთის ტერიტორიას დატოვებს, შინ საქართველოში გაგავრება და რუსთავში ოჯახს დაუბრუნდე

ᲡᲣᲡᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲔᲜᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲗᲐᲕᲛᲯᲦᲝᲛᲐᲠᲔᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გრიგოლ ლილუაშვილი სამხრეთ კავკასიასა და საქართვე-ლოში კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელსა და ჟენევის საერთაშოროსო დისკუსიების თანათავმჯდომარე ტოივო კლაარს შეხვდა. შეხვედრას ესწრებოდა სააელმნიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე ალექსანდრე ხოჯევანიშვილი.

მხარეებმა განიხილეს ოკუპირებულ ტერი-ტორიებსა და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ შექ-მნილი ვითარება და იმსჯელეს უსაფრთხოების

სფეროში არსებულ გამოწვევებზე. ყურადღება გამახვილდა ევროკავშირის, როგორც ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების თანათავმჯდომარის როლზე და ხაზგასმით აღინიშნა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ოკუპირებულ ტერიტორიებზე შეუზღუდავი წვდომის მნიშვნელობა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მოლაპარაკებების არსებული ფორმატების, კერძოდ, ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებისა და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის პოტენციალის ეფექტიანად გამოყენებისა და გაძლიერების აუცილებლობას.

ᲡᲣᲡᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲨᲨ–ᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲐᲒᲐᲨᲔᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსა-ხურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გრიგოლ ლილუაშვილმა აშშ-ის თავდაცვის ატაშე სტეფანი ბეგლისთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა. შეხვედ-რას ესწრებოდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე ალექსანდრე ხოჯევანიშვილი.

გრიგოლ ლილუაშვილმა სტეფანი ბეგლის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხო-ების სამსახურის საქმიანობის ძირითადი შიმართულებებისა და პრიორიტეტების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. მხარეებმა უსაფრთხოების კუთხით საქართველოს წი-



ნაშე არსებული გამოწვევები და რეგიონული საფრთხეები მიმოიხილეს. გრიგოლ ლილუაშვილმა და სტეფანი ბეგლიმ ხაზი გაუსვეს აშშ-ისა და საქართველოს შორის უსაფრთხოების სფეროში პარტნიორული ურთიერთობის მნიშვნელობას და აღნიშნული მიმართულებით არსებული თანამშრომლობის საკითხები და სამომავლო გეგმები მიმოიხილეს.

ᲒᲠᲐᲛᲐᲖᲔ ᲨᲔᲒᲔᲕᲔᲑᲘ ᲫᲚᲘᲔᲠᲓᲔᲑᲐ



აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპზე შეტევები ძლიერდება. აშშ-ის დაზვერვის კიდევ ერთი თანამშრომელი ამტკი-ცებს, რომ ტრამპი უკრაინის პრეზიდენტზე ზეწოლას ახორციელებდა, რათა ბაიდენზე კომპრომატი მიეღო.

ამრიგად, აშშ-ის დაზვერვის უკვე ორი თა-

ნამშრომელი აცხადებს, რომ ტრამპი ზელენსკიზე

ზეწოლას ახორციელებდა.

თავად ტრამპი ბრალდებას უარყოფს და აცხადებს, რომ არავითარ ზეწოლას ადგილი არ ჰქონია. სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო მიიჩნევს, რომ ტრამაის წინააღმდეგ წარმოებული გამოძიება აშშ-ის იმიჯს ვნებს.

ესაა კატათაგვობანა, რომელიც მხოლოდ ქვეყნის იმიჯს ვნებს, — აცხადებს პომპეო.

ᲐᲕᲡᲒᲠᲘᲐᲨᲘ 25 ᲬᲚᲘᲡ ᲙᲐᲪᲛᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲨᲔᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲓᲐᲮᲝᲪᲐ

ავსტრიის პოლიციამ დააკავა 25 წლის მამაკაცი, რომელმაც საკურორტო ქალაქ კიცბიუელში ერთი ოჯახის წევრები დანოცა, უფრო კონკრეტულად, მან თავისი ყოფილი შეყვარებული, მამამისი, დედა, გოგოს ძმა და გოგოს ახალი შეყვარებული

. პოლიციის ინფორმაციით, გამთენიისას ქალაქ ინსბრუკში 25 წლის მამაკაცი მივიდა და 5 ადამიანის მკვლელობა აღიარა. დამნაშავემ ძმის იარაღით ჯერ გოგოს მამა მოკლა, რომელმაც მას კარი გაულო, შემდეგ ძმას ესროლა. მომდევნო მსხვერპლი გოგოს

დედა იყო, რის შემდეგაც საძინებელში თავისი ყოფილი შეყვარებული, 19 წლის გოგო და მისი მეგობარი, 24 წლის მამაკაცი მოკლა.

მომხდარის მიზეზად ეჭვიანობა სახელდება.

ᲜᲘᲦᲔᲠᲚᲐᲜᲦᲔᲑᲘ ᲦᲐᲠᲩᲔᲑᲐ, ᲞᲝᲚᲐᲜᲦᲘᲐ ᲒᲐᲥᲠᲔᲑᲐ

ნიდერლანდების ხელისუფლებამ მიილო გადაწყვეტილება, უარი თქვას ქვეყნის მეორე დასახელებაზე – ჰოლანდიაზე.




ქვეყნის ხელისუფლების აზრით, ტუ-რისტებისთვის ჰოლანდია ნარკოტიკებთან და ამსტერდამის "წითელი ფარნების" კვარტალთან ასოცირდება.

ახალი იმიჯი შეიქმნება დასახელება "ნიდერლანდების" გარშემო, მაგალითად, "ევროვიზიაზე" 2020 წელს. ასევე, სახელწოდე-ბას შეიცვლის ფეხბურთის ნაკრები, სპორტსმენები, რომლებიც თავიანთ ქვეყანას 2020 წლის ტოკიოს ოლიმპიადაზე წარადგენენ.

მოამზადა ნიკა თეგზაძემ

საყვარლის მეუღლისგან გაქცევის მცდელობისთვის მამაკაცი ციხეში აღმოჩნდა



2018 წლის 28 აპრილს 27 წლის სინგაპურელი ახლობელთან ერთად კოვანის რაიონში მდებარე ერთ-ერთ სასტუმროსთან მეუღლისთვის თვალის სადევნებლად მივიდა. ის ეჭვობდა, რომ ცოლი მას ღალატობდა. რამდენიმე საათის ლოდინის შემდეგ მამაკაცის მეუღლე 34 წლის დესმონდ კო ვი ბუნს ჩაუჯდა მანქანაში

ეჭვიანმა ქმარმა მანქანასთან მიირბინა და საქარე მინასა და მძღოლის კარს მუშტები დაუშინა. ის მოითხოვდა, წყვილი მანქანიდან გადმოსულიყო, მაგრამ ამის ნაცვლად დესმონდმა მანქანა დაქოქა და ადგილიდან დაძრა. მამაკაცი მანქანის კარის სახელურს იყო ჩაბღაუჭებული და ყვიროდა, მაგრამ მძღოლი სვლას აგრძელებდა.

მკვეთრ მოსახვევში მამაკაცი გზის პირზე გადავარდა.

როდესაც მანქანა გაჩერდა, მამაკაცი მანქანის კაპოტზე შეხტა და საქარე მინაზე გაწვა. დესმონდმა მანქანა ისევ დაძრა და დროდადრო სიჩქარეს ავითარებდა, რითიც საყვარლის ქმარს საფრთხეს უქმნიდა. ეს დაახლოებით ნახევარი საათი

მამაკაცმა სხვის სახლში შეაღწია, ბუტერბროდი მოიმზადა და გაიქცა



ინციდენტი დილით ადრე შტატის სამხრეთ ნაწილში მდებარე ქალაქ ლონდონის გარეუბანში მოხდა. სახლის პატ-

რონი უცნაურმა ხმებმა გააღვიძა. სამზარეულოში შესულმა, იქ უცნობი პიროვნება აღმოაჩინა, რომელიც მაიონეზიან ბუტერბროდებს ამზადებდა. შემდეგ მან ბინის პატრონს სთხოვა, მის მიერ არეული სამზარეულო მიელაგებინა და პოლიციის მისვლამდე გაუჩინარდა. მას ადგილზე დარჩა ყავის ჭიქა, ხურდა ფული და საფულე

სახლის პატრონმა პოლიციას უცნობი აღუწერა, როგორც 180 სანტიმეტრი სიმაღლისა და დაახლოებით 100 კილოგრამი წონის

პოლიციაში ვარაუდობენ, რომ უცნობი გარშემომყოფთათვის საფრთხეს არ წარმოადგენს. ისინი მის მოძებნას სახლის პატრონის აღწერილობისა და ასევე მის მიერ დატოვებული საბუთების მიხედ-



სპორტკარი ყიდვიდან რამდენიმე საათში დაამტვრია

ინგლისის ლინკოლნშირის საგრაფოს ქალაქ ჰამბერტსონის . მკვიდრმა სპორტული ავ**-**

ტომობილი შეიძინა და იმავე დღეს დაამტვრია.


33 წლის მამაკაცმა კაბრიოლეტი ჰონდა ს2000 იყიდა და გადაწყვიტა, მანქანა გამოეცადა. ამისთვის მან ქალაქის მშვიდი რაიონი შეარჩია.

მამაკაცმა ახალი მანქანით საათში 240 კილომეტრი სიჩქარე განავითარა, მართვა დაკარგა და ჯერ კერძო სახლის აგურის ღობეს შეეჯახა, შემდეგ კი – ქუჩის განათების ბოძს. ავტომობილი მნიშვნელოვნად დაზიანდა.

სახლის პატრონებმა ხმაური გაიგონეს და ქუჩაში გამოცვივდნენ იმის სანახავად, თუ რა ხდებოდა. მათ დაინახეს, რომ აგურები, რომლებითაც კედელი იყო აშენებული, აქეთ-იქით ტყვიებივით დაფრინავდა და ერთ-ერთი სახლის კედელსაც კი მოხვდა.

მანქანიდან გადმოსულმა მძღოლმა სიცილით განაცხადა, რომ არავინ დაშავებულა, ხოლო მისი ახალი მანქანა, როგორც ჩანს, მეტად ძლიერი აღმოჩნდა. სახლის პატრონის ცოლმა დამტვრეული სპორტკარის მძღოლი იქვე გამოლანძღა.

მომხდარის ერთ-ერთი თვითმხილველის თქმით, შეჯახებამდე ორიოდე წუთით ადრე სახლთან ველოსიპედებით ბავშვებმა ჩაია



გრძელდებოდა.

ათი წლის ბიჭმა სკოლის ავტობუსი გაიტაცა

ამერიკის ლუიზიანის შტატის ქალაქ ჯენინგსში ათი წლის ბიჭმა სკოლის ავტობუსი

ბავშვი ავტობუსების სადგომზე ველოსიპედით მივიდა და შენიშნა, რომ ერთ-ერთი ავტობუსი ღია იყო დარჩენილი, გასაღები კი იქვე იყო დატოვებული. ბიჭი ავტობუსში ავიდა, დაქოქა და სასეირნოდ წავიდა.

ქალაქის მცხოვრებლების ყურადღება სკოლის ავტობუსის უჩვეულოდ ახალგაზრდა მძღოლ-მა მიიპყრო. ისინი მასთან მივიდნენ და ადგილზე პოლიციის მისვლამდე საუბრით გაართეს.

ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა ბავშვი პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს, ხოლო ავტობუსი ისევ სკოლის სადგომზე გადაიყვანეს. აღსანიშნავია, რომ

ბიჭმა სასკოლო ავტობუსით მთელი ქალაქი გაიარა. ბიჭის მშობლები, შესაძლოა, ბავშვის არასათანადოდ აღზრდისთვის პასუხისგებაში მისცენ.

მოზარდმა და გადაარჩინა, თავად კი დაიღუპა



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ პორტ შარ-ლოტში მცხოვრები 15 წლის ხაილერ ედმანი იმ დროს დაიღუპა, როდესაც საკუთარ ხუთი წლის დას სახლში

შეჭრილი ბოროტმოქმედისგან იცავდა.
ბიჭი პატარა დას მეთვალყურეობდა, როდესაც სახლში მამაკაცი შეიჭრა. მოზარდი უცნობს შეება და დაიღუპა. აღნიშნული ტრაგედია ადგილობრივი დროით დილის 4:30 საათზე დატრიალდა.

ედმანის ცხედარი იპოვეს პოლიციელებმა, რომლებ-მაც პატრულირების დროს შენიშნეს, რომ სახლში ვიღაც შევიდა. დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის სახით მათ 27 წლის რაიან კოული დააკავეს.

აღსანიშნავია, რომ 2011 წლიდან მოყოლებული, კოული 20-ზე მეტჯერ იქნა დაკავებული. ის ნარკოტიკების მოხმარებაშია შემჩნეული.

ექსტრემალმა გველს აკბენინა და ტკივილისგან აყვირდა ავსტ



თორნი ქვეწარმავალთან

პითონი კბილებს მის ხელს ჩაასობს და მის კანზე ღრმა, სისხლიან ჭრილობებს ტოვებს. ავსტრალიელი ტკივილისგან ყვირის და სახე ემანჭება. ვიდეოს ბოლო წამებზე მომთვინიერებელი რობ ალევა გველს ექსტრემალს აშო-

ექსპერიმენტი გადაცემა "ტკივილის მეფეების" ფარანი სისტემა შეიმუშავეს. <mark>მოამზადა კახა ხატიაშვილმა</mark>



ვიდეოზე ჩანს, რომ სახეზე გაკეთებული დამ-ცავი ნილბით მიდის და გა-შიშვლებულ მარცხენა ხელს უშვერს. 1,8 მეტრი სიგრძის

რებს და უკან მიათრევს.

გლებში გაიმართა. ალევა და თორნი მთელ მსოფლიოში მოგზაურობენ და საკუთარ თავს განზრახ აქცევენ სახიფათო ცხოველებისა და მწერების თავდასხმის ობიექტად. მათ ტკივილის ინტენსიურობისა და ხანგრძლივობის 30-ბალი-



 იყიდება მსხმოიარე ვენახი 0,5 ჰექტარი ვენახში არის ჩინურის, თავკვერის და ალადასტურის ჯიშის ყურძენი. თბილისიდან 35 წუთის სავალზე, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში. ნაკვეთთან ახლოს გადის გზა, წყალი, გაზი და სინათლე. გამოდგება მარნის მოსაწყობად. 1 კვ.მ ფასი 12 ლარი. ტელ: 593 127337; 593 515603. %୪ଁଟୈଶନ୍ତପാട്ടന്മും, ୧୯ଅନ୍ତେട୍ଟମଧ୍ୟ

 დიაბეტური დაავადებების, ხერხემლის გამრუდების, ბავშვებში ბრტყელტერფიანობის, ყურებში შუილის, სმენის დაქვეითების მკურნალობა. მოგემსახურებათ გაეროს სერტიფიკატის მფლობელი თამარ შავერდოვა. ტელ: 579-281-766.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გა∙ მოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის განმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 ნუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

🗨 მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგული-რება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი. ● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის

მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარე-შე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

• მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერებაუკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან განმენდა. რეპ-როდუქციული ფუნქციების აღდგენა-შე-ნარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძ-ლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეო ქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგიული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის და-ბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრე 30 damob das 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერი-ნისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83

• ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, "თეთრი ცხელების" მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების და-რეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს. ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები

კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას ("იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას**; 13**. გამაგრებულ ნანემსარს**; 14.** ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲚᲐᲫᲘᲡ Ქ. №166. ᲛᲔ-10 ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

აოკოვან დაავადებებს**; 19.** გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

ᲑᲐᲡᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲛᲐᲡᲢᲔᲠᲡᲘ **ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ**

ქართველმა ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშ-ვილმა შანხაის მასტერსის პირველ წრეში მოლდოველი რადუ ალბოტი 3 სეტში დაამარცხა – 4:6,6:1, 6:3.



ნიკამ თამაში საკუთარი მოწოდების წაგებით დაიწყო, ბრეიკის აღება ვეღარ შეძლო და ალბოტმა სეტი გამარჯვებამდე მიიყვანა. სამაგიეროდ, მეორე სეტი ბასილაშვილის სრული უპირატესობით წარიმართა, მან ორჯერ შეძლო მოლდოველის მოწოდების მოგება და სეტი 34 წუთში მიიყვანა გამარჯვებამდე. ქართველმა კარგი თამაში მესამე და გადამწყვეტ სეტშიც განაგრძო, პირველი ბრეიკი 2:2-ზე შეასრულა, მეორე კი 5:3-ზე და საერთო ჯამში, მეტოქე 2 საათსა და 12 წუთში დაამარცხა. ბასილაშვილმა შანხაიში დასაცავი ქულები უკვე

დაიცვა, რადგან შარშანდელ ტურნირზე მე-2 წრიდან გამოვარდა. შესაბამისად, ყოველი დაძლეული რაუნდი მისთვის დამატებითი სარეიტინგო ქულებია, რომლებიც ძალიან სჭირდება პეკინის ტურნირზე დაკარგული ქულების გამო.

შემდეგ წრეში ნიკოლოზი ფრანგ ბენუა პაირსა და იტალიელ მარკო ჩეკინატოს შორის გამარჯვებულს შეხვდება. მეტოქის დამარცხების შემთხვევაში ქართველი ჩოგბურთელი 90 სარეიტინგო ქულას აიღებს, ชทุตท บงองธ์มูก งธัลงค์กปีบ 92.175 ตุกตุงค์กด ปักงานเกิด

შანხაის მასტერსის საპრიზო ფონდი 8.322.885 დოლარი გახლავთ. გამარჯვებული 1.373.995 დოლარსა და 1.000 სარეიტინგო ქულას მიიღებს.

ᲖᲣᲠᲘᲙᲝ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ: "ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲒᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲘᲒᲐᲜᲝ"

რუსეთის პრემიერლიგაში პირველი გოლი გაიტანა ზურიკო დავითაშვილმა, ხოლო მისმა რუბინმა 2:1 მოუგო ტამბოვს. 18 წლის ქართველი შემტევი მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს და სახელდახელო ინტერვიუც ჩამოართვეს.

– ნანატრი გამარჯვების შემდეგ რას გრძნობთ? – ამდენი წაგების შემდეგ, რა თქმა უნდა, გამარჯვება მნიშვნელოვანი და სასიამოვნოა. ეს მოგება უნდა განვამტკი-

– ასეთი განსხვავებული ტაიმები რატომ გამოვიდა? – როდესაც 2:0 დავწინაურდით, ალბათ, უფრო დაცვაზე
 დავიწყეთ ფიქრი. დაცვაში ასე ღრმად არ უნდა ჩავმდგარიყავით. ამის გამო მე-2 ტაიმი და მისი დასასრული სანერვიულო

– მთლად კარგი ამინდი არ იყო და გულშემატკივარი სტადიონზე ბევრი არ მოვიდა. ამან განწყობაზე რამენაირად იმოქმედა?

– მესმის, ქომაგებს საფუძველი აქვთ, არ იარონ ფეხბურ-თზე, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ მხარდაჭერა სწორედ ახლა გვჭირდება, რათა ყაზანის საკადრისად ავთამაშდეთ. რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, როცა სტადიონზე ბევრი გულშემატკივარია.



- პოლოს და პოლოს, რუბინში პირველი გოლი გაიტა როგორი ემოციები დაგეუფლათ?

გოლის გატანა ყოველთვის სასიამოვნოა, მით უმეტეს, როდესაც ტრავმის შემდეგ ბრუნდები. ნებისმიერ შემთხვევაში, წინ უნდა ვიაროთ და უფრო მეტი გოლი გავიტანოთ.

შეგახსენებთ რომ, დავითაშვილი და მისი თანაგუნდელი ხვიჩა კვარაცხელია საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს ევროშესარჩევი ციკლის მატჩებში დაეხმარებიან.

მონადირემ შეცდომით ირმის

ნაცვლად მოზარდი მოკლა

მერიკის ჯორჯიის შტატში მონადირემ მოკლა 17 წლის მოზარდი, რომელიც მას ირემი ეგონა.

შაბათ დღეს რამდენიმე მონადირე გლინის ოლქის ქალაქ ბრანსუიკის მახლობლად მდებარე ტყეში გაემგზავრა. ნადირობის დროს ჰექტორ რომერომ ბუჩქებში მოძრაობა შენიშნა და ისროლა. როგორც აღმოჩნდა, მონადი-



რემ ტყვია მოარტყა არა ცხოველს, არამედ ერთ-ერთ მონადირეს, სახელად

რომერომ მომხდარის შესახებ მაშინვე ექსტრემალურ სამსახურს აცნობა და მის მიერვე დაჭრილ მოზარდს ავტოგასამართ სადგურამდე მიღწევაში დაეხმარა. ლეინი საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს. ახალგაზრდა საავადმყოფოში გარდაიცვალა.

პოლიციის მონაცემებით, ლეინი ცეცხლსასროლი იარაღიდან არის მოკლული, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისთვის ჯორჯიის შტატში მხოლოდ მშვილდ-ისრით ნადირობის სეზონია გახსნილი.

მომხდარს გლინის ოლქის პოლიცია და ჯორჯიის შტატის ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტი იძიებს.

მორბენალი ფინიშთან მეხის დაცემამ იმსხვერპლა

ამერიკის კანზასის შტატის ქალაქ ელკ-სიტის პარკში ულტრამარათონის ფინიშთან მორბენალი მეხის დაცემის შედეგად დაიღუპა.

33 წლის თომას სტენლი 50-კილომეტრიანი დისტანციის ფინიშის ხაზს უახლოვდებოდა, როდესაც მეხი დაეცა. გარბენის ორგანიზატორებმა და სხვა მორბენალებმა მას პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს, მაგრამ სტენლი მიღებული ტრავმების შედეგად გარდაიცვალა.



დაღუპულ მორბენალს დარჩა მეუღლე ეშლი და სამი შვილი. ახლობლებ-მა და მოხალისეებმა ოჯახს ერთ დღე-ღამეში 45 ათასი დოლარი შეუგროვეს. ეშლი სტენლის მეუღლის სახელზე მედალი გადაეცა. აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებამდე გავრცელდა ინფორმაცია ამ რეგიონში მოსალოდნელი ძლიერი ჭექა-ქუხილის თაობაზე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

უეღეგეგი

5 ოქ_სომბეhი

ინგეი									
პრაიტონი-ტო	(8) (ენპე	მი .			. 3:0			
ბარნლი-ევერტ	3 m	ნი				. 1:0			
ლივერპული-ღ									
ნორვიჩი-ასტო	16	ვილ	ა			1:5			
უოტფორდი-შ	ŋợ.	0 - 0	დი.			. 0:0			
376 3780-26.0	300	msba	` `			. 1:2			
ვესტ ჰემი-კრ.პალასი1: სატურნირო ცხრილი:									
1.ლივერპული	8	8	0	0	20-6	24			
2.სიტი	7	5	1	1	27-7	16			
3.ლესტერი	8	4	2	2	14-7	14			
4.კრ.პალასი	8	4	2	2	8-8	14			
5.ბარნლი	8	3	3	2	11-9	1:			
6.არსენალი	7	3	3	1	12-11	12			
7.ვესტ ჰემი	8	3	3	2	11-11	1:			
8.ტოტენჰემი	8	3	2	3	14-12	1			
9.ჩელსი	7	3	2	2	14-13	1			
10.ბორნმუთი	7	3	2	2	13-12	1			
11.მანჩესტერი	7	2	3	2	9-7	9			
12.შეფილდი	8	2	3	3	7-7	9			
13.ბრაიტონი	8	2	3	3	8-10	9			
14.ასტონ ვილა	8	2	2	4	13-12	8			
15.ვულვზი	7	1	4	2	9-11	7			
16.საუთჰემპტონი	7	2	1	4	7-11	7			
17.ევერტონი	8	2	1	5	6-13	7			
18.ნორვიჩი	8	2	0	6	10-21	6			
19.ნიუკასლი	7	1	2	4	4-13	5			
20.უოტფორდი	8	0	3	5	4-20	3			
ინგეის				ნღი					
ფულემი-ჩარლ	80	ონი				2:2			
პრისტოლი-რე	ედ	ინგი				. 1:0			
ვესტ ბრომვიჩ	n-,	ვარე	ဥဂတ္ပ	o		. 4:2			
დერბი-ლუთო	δ ο`					. 2:0			
ქპრ-ბლექბერნ	O .					4:2			
მილუოლი-ლი	დს	o				. 2:′			
ნოტინგემი-ბრ	ენ	ტფი	ირდ	ეი		1:0			

ongnosgon-ongogannan									
პრესტონი-ბაი	ร์เ	ლი		` 		5:1	l		
სუონსი-სტოკ							l		
ჰადერსფილდ							l		
უენსდი-უიგა							l		
გეხმა	ნია	. ბუ	ენჹე	სღი	გა		l		
ბაიერნი-ჰოფე	ენპა	იმი				. 1:2	l		
ლევერკუზენი)-ლ	აიფ	ციგ	ი		1:1	l		
პადერბორნი-							l		
ფრაიბურგი-ჲ	ბოდ	იტმ	უნდ	įο		2:2	l		
შალკე-კიოლნ						. 1:1	l		
სატუ	რნი	რო	ცხი	რილ	უი:		l		
1.ბაიერნი	7	4	2	1	20-8	14	l		
2.ლაიფციგი	7	4	2	1	15-7	14	l		
3.ფრაიბურგი	7	4	2	1	15-7	14	l		
4.შალკე	7	4	2	1	14-7	14			
5.ლევერკუზენი	7	4	2	1	12-8	14			
6. გოათბახი	6	4	1	1	10-5	13	ı		

J. [] 3] 1] 3] 1] 1] 1] 1] 1] 1] 1	•	_	_		12-0				
6.გლადბახი	6	4	1	1	10-5	13			
7.დორტმუნდი	7	3	3	1	19-11	12			
8.ვოლფსბურგი	6	3	3	0	9-4	12			
9.აინტრახტი	6	3	1	2	9-8	10			
10.ჰერტა	7	3	1	3	12-12	10			
11.ჰოფენჰაიმი	7	2	2	3	6-11	8			
12.ვერდერი	6	2	1	3	10-14	7			
13,მაინცი	7	2	0	5	7-17	6			
14.აუგსბურგი	6	1	2	3	7-14	5			
15.ფორტუნა	7	1	1	5	9-14	4			
16.უნიონი	6	1	1	4	6-12	4			
17.კიოლნი	7	1	1	5	5-16	4			
18.პადერბორნი	7	0	1	6	9-19	1			
გეჩმანი:	s. ĉ	ე-2	ბუნ	ieეს	აგიე				
ჰამბურგი-ფიყ						. 2:0			
დინამო-ჰანოვ	ერ	o				. 0:2			
ზანდჰაუზენი	-აუ	ე				. 2:2			
ესპანეთი პხიმესა იივიზიონი									

ლეგანესი-ლევანტე

.... 1:2

ოსასუსა-ვილ						- 1
სატუ						
1.რეალი	8	5	3	0	16-8	18
2.გრანადა	8	4	2	2	15-10	14
3.ატლეტიკო	7	4	2	1	7-4	14
4.სევილია	7	4	1	2	10-7	13
5.ბარსელონა	7	4	1	2	16-10	13
6.სოსიედადი	7	4	1	2	12-7	13
7.ვალენსია	8	3	3	2	12-12	12
8.ბილბაო	7	3	3	1	7-3	12
9.ლევანტე	8	3	2	3	10-10	11
10.ოსასუნა	8	2	5	1	7-7	11
11.ვილიარეალი	8	3	2	3	19-13	11
12.ვალიადოლიდ		2	3	2	7-8	9
13.ეიბარი	8	2	3	3	10-10	9
14.ბეტისი	8	2	3	3	11-16	9
15.ალავესი	8	2	2	4	5-9	8
16.ხეტაფე	7	1	4	2	10-11	7
17.მალიორკა	8	2	1	5	6-12	7
18.სელტა	7	1	3	3	4-9	6
19.ესპანიოლი	8	1	2	5	4-14	5
20.ლეგანესი	8	0_	2	6	4-12	2
ესპანეთი.					ზიონი	
ლუგო-ლას პა	ლმ,	ასი				0:2
ელჩე-რაიო						1.1
Jenny (1000)						0.0
პონფერადინა	- dn	რახ	დეს	o		. 2:0
ტენერიფე-ეს	გრე	ემად	ბოდ	ა		. 1:2
O O O O O	รคกร	ś. ل	า่ทกร			
						1.0
სპალი-პარმა .						
ვერონა-სამპდ	mm	ია.				. 2:0
ჯენოა-მილანი						
სატუ	ፈደ ^ሪ	Რ๛	ιsk	๛๛	no"	
	6				42.0	40
1.ინტერი	6	6	0 1	0	13-2 11-5	18 16
2.იუვენტუსი	6	5 4	1	0 1	11-5 15-9	13
3.ატალანტა						
4.ნაპოლი	6	4	0	2	15-10	12
5.ფიორენტინა	7	3	2	2	12-10	11
6.რომა	6	3	2	1	11-9	11
7.ლაციო	6	3	1	2	11-4	10
8.კალიარი	6	3	1	2	9-6	10
9.პარმა	7	3	0	4	8-10	9
10.ტორინო	6	3	0	3	10-10	9
		3	0	4	6-9	9
11.მილანი	7					_
12.ვერონა	7	2	3	2	6-5	9
12.ვერონა 13.ბოლონია	7 6	2	2	2	7-7	8
12.ვერონა 13.ბოლონია 14.უდინეზე	7 6 7	2 2 2	2 1	2 4	7-7 3-6	8 7
12.ვერონა 13.ბოლონია 14.უდინეზე 15.სასუოლო	7 6 7 6	2 2 2 2	2 1 0	2 4 4	7-7 3-6 11-12	8 7 6
12.ვერონა 13.ბოლონია 14.უდინეზე 15.სასუოლო 16.ლეჩე	7 6 7 6 6	2 2 2 2 2	2 1 0 0	2 4 4 4	7-7 3-6 11-12 6-12	8 7 6 6
12.ვერონა 13.ბოლონია 14.უდინეზე 15.სასუოლო 16.ლეჩე 17.ბრეშა	7 6 7 6 6 6	2 2 2 2 2 2	2 1 0 0 0	2 4 4 4 4	7-7 3-6 11-12 6-12 7-9	8 7 6 6
12.ვერონა 13.ბოლონია 14. უდინეზე 15.სასუოლო 16.ლეჩე 17.ბრეშა 18.სპალი	7 6 7 6 6 6 7	2 2 2 2 2 2 2 2	2 1 0 0 0 0	2 4 4 4 4 5	7-7 3-6 11-12 6-12 7-9 6-13	8 7 6 6 6
12.ვერონა 13.ბოლონია 14.უდინეზე 15.სასუოლო 16.ლეჩე 17.ბრეშა 18.სპალი 19.ჯენოა	7 6 7 6 6 7 7	2 2 2 2 2 2 2 1	2 1 0 0 0 0 2	2 4 4 4 5 4	7-7 3-6 11-12 6-12 7-9 6-13 8-15	8 7 6 6 6 6 5
12. ვერონა 13. ბოლონია 14. უდინეზე 15. სასუოლო 16. ლეჩე 17. ბრეშა 18. სპალი 19. ჯენოა 20. სამპდორია	7 6 7 6 6 6 7 7	2 2 2 2 2 2 2 1 1	2 1 0 0 0 0 2 0	2 4 4 4 5 4 6	7-7 3-6 11-12 6-12 7-9 6-13	8 7 6 6 6
12. ვერონა 13. ბოლონია 14. უდინეზე 15. სასუოლო 16. ლეჩე 17. ბრეშა 18. სპალი 19. ჯენოა 20. სამპდორია	7 6 7 6 6 6 7 7	2 2 2 2 2 2 2 1	2 1 0 0 0 0 2 0	2 4 4 4 5 4 6	7-7 3-6 11-12 6-12 7-9 6-13 8-15	8 7 6 6 6 6 5
12.ვერონა 13.ბოლონია 14.უდინეზე 15.სასუოლო 16.ლეჩე 17.ბრეშა 18.სპალი 19.ჯენოა 20.სამპდორია	7 6 6 6 7 7 7	2 2 2 2 2 2 1 1 5. b;	2 1 0 0 0 2 0 2 0	2 4 4 4 5 4 6 8	7-7 3-6 11-12 6-12 7-9 6-13 8-15 4-16	8 7 6 6 6 6 5 3
12. ვერონა 13. ბოლონია 14. უდინეზე 15. სასუოლო 16. ლეჩე 17. ბრეშა 18. სპალი 19. ჯენოა 20. სამპდორია იტ	7 6 6 6 7 7 7 80013	2 2 2 2 2 2 1 1 5. b	2 1 0 0 0 2 0 2 0	2 4 4 4 5 4 6 0	7-7 3-6 11-12 6-12 7-9 6-13 8-15 4-16	8 7 6 6 6 5 3
12. ვერონა 13. ბოლონია 14. უდინეზე 15. სასუოლო 16. ლეჩე 17. ბრეშა 18. სპალი 19. ჯენოა 20. სამპდორია "ოზენ ცა-ვენე	7 6 6 6 7 7 7 ცია	2 2 2 2 2 2 1 1 5. b	2 1 0 0 0 2 0 9hns	2 4 4 4 5 4 6 0	7-7 3-6 11-12 6-12 7-9 6-13 8-15 4-16	8 7 6 6 6 6 5 3
12. ვერონა 13. ბოლონია 14. უდინეზე 15. სასუოლო 16. ლეჩე 17. ბრეშა 18. სპალი 19. ჯენოა 20. სამპდორია "გოზენცა-ვენე კროტონე-ვირ	7 6 7 6 6 6 7 7 7 8 8 8 8 8	2 2 2 2 2 2 1 1 5. b	2 1 0 0 0 2 0 9hns	2 4 4 4 5 4 6 0	7-7 3-6 11-12 6-12 7-9 6-13 8-15 4-16	8 7 6 6 6 6 5 3 . 1:1 3:1 . 3:1 . 3:4
12. ვერონა 13. ბოლონია 14. უდინეზე 15. სასუოლო 16. ლეჩე 17. ბრეშა 18. სპალი 19. ჯენოა 20. სამპდორია "გოზენცა-ვენე კროტონე-ვირ	7 6 7 6 6 6 7 7 7 8 8 8 8 8	2 2 2 2 2 2 1 1 5. b	2 1 0 0 0 2 0 9hns	2 4 4 4 5 4 6 0	7-7 3-6 11-12 6-12 7-9 6-13 8-15 4-16	8 7 6 6 6 6 5 3 . 1:1 3:1 . 3:1 . 3:4
12. ვერონა 13. ბოლონია 14. უდინეზე 15. სასუოლო 16. ლეჩე 17. ბრეშა 18. სპალი 19. ჯენოა 20. სამპდორია იტ. კოზენცა-ვენე კროტონე-ვირ ლივორნო-კიე პორდენონე-ე	7 6 7 6 6 6 7 7 7 7 8 9 8 9 3 9	2 2 2 2 2 2 1 1 5. U:	2 1 0 0 0 2 0 0 0 0 mins	2 4 4 4 5 4 6 0 0	7-7 3-6 11-12 6-12 7-9 6-13 8-15 4-16	8 7 6 6 6 6 5 3 3 . 1:1 3:1 . 3:4 . 2:0
12. ვერონა 13. ბოლონია 14. უდინეზე 15. სასუოლო 16. ლეჩე 17. ბრუშა 18. სპალი 19. ჯენოა 20. სამპდორია ოზენცა-ვენე კროტონე-ვირ ლივორნო-კიე პორდენონე-ე სპეცია-ბენევე	7 6 7 6 6 6 7 7 7 ცია ცია კო	2 2 2 2 2 2 1 1 1 	2 1 0 0 0 2 0 0 0 0 	2 4 4 4 5 4 6 0	7-7 3-6 11-12 6-12 7-9 6-13 8-15 4-16	8 7 6 6 6 6 5 3 . 1:1 . 3:1 . 3:4 . 2:0 . 0:1
12. ვერონა 13. ბოლონია 14. უდინეზე 15. სასუოლო 16. ლეჩე 17. ბრუშა 18. სპალი 19. ჯენოა 20. სამშდორია "რზენცა-ვენე კროტონე-ვირ ლივორნო-კიე პორდენონე-ე სპეცია-პენევვ ტრაპანი-იუვვ	7 6 7 6 6 6 7 7 7 13 13 13 13 15 8 15 8 15 8 15 8 15 8 15	2 2 2 2 2 2 1 1 1 . by	2 1 0 0 0 0 2 0 0 0 0 1 1 1 1 1 1 1 1 1	2 4 4 4 5 4 6 6 8	7-7 3-6 11-12 6-12 7-9 6-13 8-15 4-16	8 7 6 6 6 6 5 3 . 1:1 . 3:1 . 3:4 . 2:0 . 0:1
12. ვერონა 13. ბოლონია 14. უდინეზე 15. სასუოლო 16. ლეჩე 17. ბრუშა 18. სპალი 19. ჯენოა 20. სამპდორია ოზენცა-ვენე კროტონე-ვირ ლივორნო-კიე პორდენონე-ე სპეცია-ბენევე	7 6 7 6 6 6 7 7 7 13 13 13 13 15 8 15 8 15 8 15 8 15 8 15	2 2 2 2 2 2 1 1 1 . by	2 1 0 0 0 0 2 0 0 0 0 1 1 1 1 1 1 1 1 1	2 4 4 4 5 4 6 6 8	7-7 3-6 11-12 6-12 7-9 6-13 8-15 4-16	8 7 6 6 6 6 5 3 . 1:1 . 3:1 . 3:4 . 2:0 . 0:1
12.ვერონა 13.ბოლონია 14.უდინეზე 15.სასუოლო 16.ლეჩე 17.ბრეშა 18.სპალი 19.ჯენოა 20.სამპდორია ოტენცა-ვენე კროტონე-ვირ ლივორნო-კიე პორდენონე-ე სპეცია-ბენევვ ტრაპანი-იუვვ	7 6 7 6 6 6 7 7 7 ატია ცია ცია ცია ცია ცია ცია ცია ცია ცია ც	2 2 2 2 2 2 2 1 1 1 . სესი 	2 1 0 0 0 0 2 0 0 0 0 0 0 	2 4 4 4 5 4 6 5 0 0	7-7 3-6 11-12 6-12 7-9 6-13 8-15 4-16	8 7 6 6 6 6 5 3 . 1:1 . 3:1 . 3:4 . 2:0 . 0:1 . 1:2
12.ვერონა 13.ბოლონია 14.უდინეზე 15.სასუოლო 16.ლეჩე 17.ბრეშა 18.სპალი 19.ჯენოა 20.სამპდორია "რზენცა-ვენი კროტონე-ვირ ლივორნო-კიე პორდენონე-ე სპეცია-ბენევვ ტრაპანი-იუვ	7 6 7 6 6 6 7 7 7 ატია კი გე	2 2 2 2 2 2 2 2 1 1 1 . by	2 1 0 0 0 0 2 0 0 0 0 0 0 0 0 0 0 0 0 0	2 4 4 4 4 5 4 6 8 8 8	7-7 3-6 11-12 6-12 7-9 6-13 8-15 4-16	8 7 6 6 6 6 5 3 . 1:1 . 3:1 . 3:4 . 2:0 . 0:1 . 1:2 . 4:0
12.ვერონა 13.ბოლონია 14.უდინეზე 15.სასუოლო 16.ლეჩე 17.ბრეშა 18.სპალი 19.ჯენოა 20.სამპდორია	7 6 7 6 6 6 7 7 7 ია. ცია უ ცია ე ს ც	2 2 2 2 2 2 2 1 1 5. by	2 1 0 0 0 2 0 0 0 0 0 2 0 0 0 0 0 0 0 0	2 4 4 4 4 5 4 6 8 8 8 8 8 8 8 8 8 8 8 8 8 8 8 8 8 8	7-7 3-6 11-12 6-12 7-9 6-13 8-15 4-16	8 7 6 6 6 6 5 3 3 . 1:1 . 3:1 . 3:4 . 2:0 . 0:1 . 1:2 . 4:0 . 2:0
12. ვერონა 13. ბოლონია 14. უდინეზე 15. სასუოლო 16. ლეჩე 17. ბრეშა 18. სპალი 19. ჯენოა 20. სამპდორია "კოზენცა-ვენე კროტონე-ვირ ლივორნო-კიე პორდენონე-ე სპეცია-ბენევვ ტრაპანი-იუვვ ტაკანტი	7 6 7 6 6 6 7 7 7 ალია ცია ენტ კო ენტ ანტ	2 2 2 2 2 2 1 1 1 ესი ეთი	2 1 0 0 0 2 0 2 0 7 3 3 3 	2 4 4 4 5 4 6 6 8 8	7-7 3-6 11-12 6-12 7-9 6-13 8-15 4-16	8 7 6 6 6 6 6 5 3 . 1:1 . 3:1 . 3:4 . 2:0 . 0:1 . 1:2 . 4:0 . 2:0 . 1:0
12. ვერონა 13. ბოლონია 14. უდინეზე 15. სასუოლო 16. ლეჩე 17. ბრეშა 18. სპალი 19. ჯენოა 20. სამპდორია "რზენ ცა-ვენე კროტონე-ვირ ლივორნო-კიე პორდენონე-ე სპეცია-ბენევვ ტრაპანი-ბუვ ტრაპანი-ბუვ ასაფჩ ბსჟ-ანჟე ბრესტი-მეცია დიჟონი-სტრა მონპელიე-მონ	7 6 7 6 6 6 7 7 7 დია ცია ენტ ენტ ენტ ანბ	2 2 2 2 2 2 1 1 5 5 5 5 5 5 5 5 5 5 5 5	2 1 0 0 0 2 0 0 0 0 0 0 0 0 0 0 0 0 0 0	2 4 4 4 5 4 6 8 8	7-7 3-6 11-12 6-12 7-9 6-13 8-15 4-16	8 7 6 6 6 6 6 5 3 . 1:1 3:1 . 3:4 . 2:0 . 0:1 . 1:2 . 4:0 . 2:0 . 1:0 . 3:1
